645
1977/4
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

სექტემბერი
№ 9 1977 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რევოლუციის რაინდს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ვ. ი. ლენინის თანამებრძოლს, მგზნებარე რევოლუციონერს, ჭეშმარიტ პატრიოტსა და ინტერნაციონალისტს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადებულ მებრძოლს ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

ახლა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლის სახელოვანი იუბილესათვის მზადების დღეებში საბჭოთა ადამიანები ერთხელ კიდევ დიდი მადლიერებისა და სიამაყის გრძნობით იგონებენ იმ ადამიანთა სახელოვან საქმეებს, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე ერთგულად შეალიეს მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას და ამით საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს კაცობრიობის ისტორიაში. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ფ. ძერჟინსკისაც, რომელმაც დიდი უნარი, ნათელი გონება, ძალ-ღონე დაუზოგავად შესწირა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას, რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებას.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქალი და სოციალიზმი“

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად საბჭოთა ქალების კომიტეტმა მოაწყო საერთაშორისო შეხვედრა თემაზე — „ქალი და სოციალიზმი“.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ორმოცდაათი ქვეყნის საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენელი ქალები. სემინარზე ერთსულოვნად აღინიშნა, რომ ქალთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა სოციალისტური საზოგადოების ჭეშმარიტი დემოკრატიულობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო დადასტურებაა.

სემინარზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

15803



სსრ კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, გმირი კოსმონავტი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქსენია პროსკურნიკოვა

## საერთაშორისო შეხვედრის — „ქალი და სოციალიზმის“ მონაწილეებს

ძვირფასო მეგობრებო!

მხურვალედ მოგესალმებით საერთაშორისო შეხვედრის — „ქალი და სოციალიზმის“ მონაწილეებს.

თქვენი შეხვედრა მოსკოვში მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის — იმ მოვლენის 60 წლისთავის წელს, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში არნახული გავლენა მოახდინა კაცობრიობის განვითარების მიმდინარეობაზე.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად მოსპო ძველი წარმოდგენა ქალის სოციალური როლის, ოჯახსა და საზოგადოებაში მისი ადგილის შესახებ.

ექვსი განვლილი ათწლეული შესაძლებლობას გვაძლევს ნათლად და სრულად წარმოვიდგინოთ რევოლუციის გამარჯვებაში ქალის წვლილის, საბჭოეთის განვითარებაში ქალის შემოქმედებითი მონაწილეობის მნიშვნელობა, მისი სიმტკიცე და გმირობა დიდ სამამულო ომში და დიდი წვლილი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ქალის მდგომარეობა ჭეშმარიტად შთამაგონებელი მაგალითია ჩვენი პლანეტის მილიონობით ქალისათვის.

მსოფლიოს პროგრესული ძალების ბრძოლას ქალთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობისათვის ამ ბოლო დროს საგრძნობი წარმატებანი მოჰყვა ბევრ ქვეყანაში. ქალები სულ უფრო მნიშვნელოვან ძალად იქცნენ, რომელიც აჩქარებს კაცობრიობის მატერიალურ, სოციალურ და სულიერ პროგრესს. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქალის განთავისუფლება, მისი აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, სახელმწიფოს მართვაში საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის შემადგენელი ნაწილია.

ალბათ, სხვებთან შედარებით, დედა—ქალს უკეთ ესმის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მნიშვნელობა, რომელიც საჭიროა, რათა უზრუნველვყოთ მსოფლიოს ყველა ბავშვის ნათელი მომავალი, დავიცვათ ახლანდელი და მომავალი თაობების სიცოცხლე. სწორედ ამიტომაა, რომ ქალები ასე მხურვალედ და მადლიერად ეხმაურებიან საბჭოთა კავშირის, სხვა მშვიდობისმოყვარე ძალების ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და ქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას. ქალებს უდიდესი წვლილი შეაქვთ მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის ხალხთა ბრძოლაში, ყველა იმათთან ინტერნაციონალური სოლიდარობის საქმეში, ვინც იმპერიალისტურ დიქტატსა და აგრესიას განიცდის.

ვუსურვებ შეხვედრის მონაწილეებს ნაყოფიერ მუშაობას და ახალ წარმატებებს ადამიანის პიროვნების ღირსების ნათელი იდეალების, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის დამკვიდრებისათვის კეთილშობილურ საქმიანობაში.

ლ. ბრეჟნევი.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქალი და სოციალიზმი"

საქართველოდან საბჭოთა დელეგაციის წევრი იყო საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნათელა ვასაძე.

ჩვენი რედაქციის მუშაკი შეხვდა ამხ. ნ. ვასაძეს და სთხოვა ჟურნალის მკითხველებისათვის ეამბნა ამ ღირსშესანიშნავი შეხვედრის შესახებ.



## განიხილებოდა დიდმნიშვნელოვანი პრობლემები

— ვისი თაოსნობით მოეწყო ქალთა საერთაშორისო შეხვედრა და როგორ წარიმართა ამ ფრიად მნიშვნელოვანი სემინარის მუშაობა?

— საერთაშორისო შეხვედრა თემაზე — „ქალი და სოციალიზმი" მოაწყო საბჭოთა ქალების კომიტეტმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ორმოცდაათი ქვეყნის ქალთა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დელეგატები ოვაციებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას ქალებისადმი.

შეხვედრაზე საინტერესო, ვრცელი მოხსენება გააკეთა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვამ.

სემინარზე სიტყვა წარმოთქვა 73 დელეგატმა, რომლებმაც განიხილეს ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხები.

— თავის გამოსვლაში ძირითადად რა საკითხებს შეეხო ვალენტინა ტერეშკოვა და რას გამოყოფდით მისი მოხსენებიდან?

— მომხსენებელმა ვრცლად და საინტერესოდ გააშუქა ქალთა საკითხი 1917 წლიდან — დღემდე, როგორც სოციალისტურ, ასევე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მან განაცხადა, რომ ჩვენს ქვეყანაში მამაკაცთან ქალის ფაქტიური გათანასწორების პროცესი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო და რომ იგი ახალი საზოგადოებრივი წყობილების ბუნების გამომხატველია.

შემდეგ მან ილაპარაკა ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ. ამ პროექტში სრულად არის ასახული მამაკაცთან ქალის თანასწორუფლებიანობა პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

— რას მიაღწიეს მსოფლიოს ქალებმა ამ ექვსი ათწლეულის მანძილზე?

— საბჭოთა ქვეყანაში განხორციელებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. იგი მატერიალურ და კულტურულ სფეროში საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მოპოვებული მიღწევების შედეგია. დღევანდელი მიღწევები კი ქალთა საკითხში იმ მორიგ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც განუყოფლადაა დაკავშირებული ჩვენს საზოგადოებაში მომწიფებული სოციალიზმის პერიოდის დაწყებასთან.

საბჭოთა კავშირს ამჟამად პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში როგორც სპეციალისტ ქალთა რაოდენობით, ისე მათი წილით ქვეყნის სპეციალისტთა საერთო რიცხვში. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალი მამაკაცის თანაბრად შრომობს და ანაზღაურებაც ერთნაირია. იგი აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაშიც. ქალებს ირჩევენ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად.

საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა ქალის შრომისა და ყოფის გაუმჯობესებისათვის, ჯანმრთელობისათვის ნათლად ჩანს ახალი კონსტიტუციის პროექტში.

ოქტომბრის რევოლუციის გავლენით კაპიტალისტურ ქვეყნებშიც შეირყა უღელი, საუკუნეთა მანძილზე ქალს რომ აწვა ტვირთად. ამ ბოლო წლებში მიღებულია კანონები, რომლებითაც ქალებს ფორმალურად თანასწორუფლებიანობა მიენიჭათ, მაგრამ ფაქტიურად ქალის მდგომარეობა საზოგადოებასა და ოჯახში ბევრად არ გაუმჯობესებულა. იმ ქვეყნებშიც კი, რომლებმაც ეკონომიური განვითარების უაღრესად მაღალ დონეს მიაღწიეს, დღემდე შემორჩა ქალთა დისკრიმინაცია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ისინი მცირეხელფასიან სამუშაოზე არიან დასაქმებული და მამაკაცებთან შედარებით ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, უმუშევრობის პირველი მსხვერპლნიც ქალები ხდებიან.

— როგორც ცნობილია, ამჟამად დასავლეთის ქვეყნები მოიცვა ქალთა ფართო მოძრაობამ. რა წინადადებები წამოაყენეს იქაურმა დელეგატებმა?

სემინარზე სიტყვა წარმოთქვა დელეგატთა თითქმის ნახევარმა. მათ განიხილეს ქალთა, დედათა და ბავშვთა ყოფისა და მდგომარეობის საჭირბოროტო საკითხები.

— მსოფლიოს ქალთა შეხვედრა დაემთხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენას — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის გამოქვეყნებას, სადაც კიდევ უფრო ხაზგასმულია მამაკაცთან ქალის თანასწორუფლებიანობა. როგორ გამოეხმაურა ამას სემინარი?

— დიდი ოქტომბრის რევოლუციამ, — თქვა ფობა ფეირმა (გვინეის ქალთა რევოლუციური კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე), — მთელ მსოფლიოში ალაგმა მჩაგვრელი ძალები. იგი გადაწვდა ოკეანეებს, ზღვებსა და უდაბნოებს. ჩვენამდეც მოაღწია ამ ქარმა, რომელმაც დაგვანახვა ნამდვილი თავისუფალი სამყარო და დაიწყო ახალი ერა, ახალი ცხოვრება, სოციალიზმი. სოციალისტური ქვეყანა დღეს ყველა ჩაგრულისათვის მახლობელი და ძვირფასია, ამიტომ ჩვენ, სოციალიზმის ეპოქის ქალები აქტიურად ვიბრძოლებთ მშვიდობისათვის, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის, ქალთა თავისუფლებისათვის...

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მე-60 წლისთავზე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტმა ქალს, დედას, კიდევ უფრო მეტი უფლებები მიანიჭა, კიდევ ერთხელ განამტკიცა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა.

სემინარზე გამოდიოდნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ქალები. ისინი გვიამბობდნენ თავთავიანთი ქვეყნების საჭირბოროტო და მთელი მსოფლიოს ქალებისათვის საინტერესო საკითხებზე, ბჭობდნენ თანამედროვე საზოგადოებაში ქალის როლზე, მის უფლება-მოვალეობებზე, სხვა დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებიც დღეს ასე მწვავედ დგას მსოფლიოს წინაშე და ჯერჯერობით მხოლოდ სოციალისტურ ქვეყნებშია გადაჭრილი.

და მძლავრ მოწოდებად გაისმა ვალენტინა ტერეშკოვას სიტყვები — იგი კითხულობდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის 35-ე მუხლს: „ქალი მამაკაცის თანასწორუფლებიანია"...

ინტერვიუ აიღო
ირმა ჩოფიკაშვილმა

## ვიხილავთ სსრ კავშირის კონსტიტუციის ახალ პროექტს



# დიდი სახალხო საქმე

საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით სწავლობენ და იხილავენ თანამედროვეობის უდიდეს დოკუმენტს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს. ჩვენს ხალხსა და მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ყველა ადამიანს კონსტიტუციის პროექტი კიდევ ერთ•იმ დადასტურებად მიაჩნია, თუ რაოდენ ზრუნავს კომუნისტური პარტია საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის, მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ ადამიანებს შეექმნათ შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გაფურჩქვნის, პიროვნების ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი პირობები.

საგარეჯოს რაიონის მშრომელები კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებისთანავე შეუდგნენ ამ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტის განხილვას. გაიმართა მიტინგები, მშრომელებმა გამოხატეს მტკიცე მზადყოფნა, უფრო მჭიდროდ დაირაზმონ მშობლიური პარტიისა და მთავრობის გარშემო, ყველაფერი გააკეთონ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელებისათვის, წარმატებით გაანაღდონ საიუბილეო წელს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, ხელდამშვენებულნი შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

რაიონის მშრომელებმა გულთან ახლოს მიიტანეს კონსტიტუციის პროექტის 67-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეს.

ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა მოვალეობაა“.

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვას ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა.

სწორედ კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს ემსახურება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“, რომელიც 1976 წლის 29 ოქტომბერს მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ.

ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს შუა საუკუნეების თვალსაჩინო ძეგლები: უჯარმის ციხე-ქალაქი, დავით გარეჯის უდაბნოს სამონასტრო კომპლექსები, ნინოწმინდის ტაძარი, სამება-კაწარეთის მონასტერი, მანავის ციხე და მრავალი სხვა.

ბოლო დროს რაიონის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს კულტურის ძეგლთა მიმართ. მათი აღდგენისა და დაცვისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

პარტიის რაიკომის ბიურომ მოიწონა და მხარი დაუჭირა პენსიონერი ცოლ-ქმრის ნინო ასათიანისა და ივანე ბედიაშვილის შესანიშნავ ინიციატივას, რომელთაც რაიონის კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღდგენის ფონდში თავიანთი შრომითი დანაზოგიდან 500 მანეთი შეიტანეს და რაიონის მშრომელებს მოუწოდეს მხარი დაუჭირონ ამ პატრიოტულ თაოსნობას.

მოწოდებას რაიონის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ. კულტურის ძეგლთა დაცვის ფონდში თავიანთი შრომითი დანაზოგებიდან შეიტანეს 40 ათასი მანეთი, ამ თანხით აღადგინეს მე-18 საუკუნის დასაწყისის არქიტექტურული ძეგლი პეტრე-პავლეს ეკლესია, რომელშიც კომკავშირის საგარეჯოს რაიკომსა და საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადაწყვეტილი აქვთ გახსნან ახალგაზრდული კლუბი. დაწყებულია ნინოწმინდის კათედრალის (IV-XVIII საუკუნეები) რესტავრაცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის ცნობილმა დადგენილებამ — „მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებეთა შესახებ“ — ახალი მიმართულება მისცა ჩვენს საქმიანობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს შუა საუკუნეების უთვალსაჩინოესი ძეგლები — დავით გარეჯის უდაბნოს სამონასტრო კომპლექსები, მათგან მნიშვნელოვანია დოდოს რქა, დავითის ლავრა, ნათლისმცემელი, ჩიჩხატური, წამებული, ბერთუბანი და სხვა, რომლებსაც განსაკუთრებით ესაჭიროება მოვლა-პატრონობა, აღდგენა და დაცვა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1975 წლის 20 ნოემბერს მიიღო სპეციალური დადგენილება დავით გარეჯის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის ნაკრძალად გამოცხადების შესახებ, ხოლო 1977-1980 წლებში გათვალისწინებულია აშენდეს დავით გარეჯის მუზეუმი, გამაგრდეს და აღდგეს სამონასტრო კომპლექსები. დავით გარეჯი რესპუბლიკის მშრომელთა კულტურის და დასვენების, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საუკეთესო კერად გადაიქცევა.

დავით გარეჯის ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ რაიონის მშრომელებს. 1976 წლის 16 მაისს აქ საზეიმოდ გაიხსნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი. ზეიმში ოცი ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. სახალხო უნივერსიტეტს სათავეში ჩაუდგა საგარეჯოს რაიონის მკვიდრი, ცნობილი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი.

სახალხო უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით დაწესდა სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“, რომელიც ყოველი წლის მაისის შუა რიცხვებში გაიმართება. ამ ზეიმის მიზანია ახალი წეს-ჩვეულებების დამკვიდრება და უდაბნოს ვრცელი ტერიტორიის გამოცოცხლება — ათვისება.

დავით გარეჯის სახალხო უნივერსიტეტს თავისი ფილიალები აქვს საგარეჯოში, ნინოწმინდაში, პატარძეულში, მანავში, გომბორსა და კაკაბეთში.

რაიონის მშრომელების სულისკვეთებას ბრწყინვალედ გამოხატავს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები:

„საჭიროა თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა ნათლად შეიგნოს, რომ საბოლოო ანგარიშით მისი უფლებების მთავარი გარანტია სამშობლოს ძლიერება და აყვავება. ამისათვის კი თითოეული მოქალაქე პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს საზოგადოების წინაშე, კეთილსინდისიერად იხდიდეს თავის ვალს სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე“.

**ნუგზარ გურჯიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველოს ქალის“ რედაქციას განზრახული აქვს პერიოდულად დაუთმოს ჟურნალის ფურცლები რესპუბლიკის ამა თუ იმ რაიონის ცხოვრებას.



ეს ნომერი ეძღვნება საგარეჯოს რაიონის სახელოვან მშრომელებს

# რაიონის აწმყო და მომავალი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წელი გვიახლოვდება. ამ საპატიო იუბილარს ჩვენ ხელცარიელნი როდი შევხვდებით. საბჭოთა კავშირის ხალხთა საერთო ზეიმზე ჩვენც გვაქვს ჩვენი სათქმელი და თავმოსაწონი. მინდა მოგითხროთ, რანი ვიყავით 60 წლის წინათ — და რანი ვართ, ახლა, რანი ვიქნებით უახლოეს წლებში. გესაუბროთ გარეკახეთის ყოფასა და პერსპექტივებზე, საიუბილეო სამზადისზე.

უხსოვარი დროიდან ივრისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე განვითარებული იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. გარეკახელები მევენახეობას, მეაბრეშუმეობასა და მებაღეობასაც მისდევდნენ. მაგრამ ამ დარგების გეგმური განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი.

„დამპალას აღმოსავლეთ — ჩრდილოთ არს, ჰერეთის მთის ძირს, მანავი, სადაც აღაშენა სასახლე იმანყულიხან. მთის ძირს არს ძველადი ციხე და აწ შემუსვრილი. არამედ ღვინო მანავისა კეთილი. მანავის ქვევით, ქისიყამდე, ცივ-გონბორის მთის კალთათა არიან შენობანი დაბანი ვენახხილიანნი. უძევს იორისკენ სახვნელნი ველნი და უკან მთა ტყიანი უწყლო“, — აღნიშნავდა ვახუშტი ბაგრატიონი თავის „გეოგრაფიაში“.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ვაზის დაავადებებმა ნაცარმა და ფილოქსერამ თითქმის მოსპო მევენახეობა. ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გარეკახეთში ვენახების ფართობი ძალიან მცირე იყო. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დროს იგი 80 ჰექტარს შეადგენდა. შემდგომში მევენახეობის განვითარებას დიდი ყურადღება მიექცა, 1940 წელს საგარეჯოს რაიონში უკვე 1.655 ჰექტარი ზვარი იყო. 1960 წლისათვის ვენახების საერთო ფართობმა 2.295 ჰექტარს მიაღწია. მევენახეობას დიდად შეუწყო ხელი ქვემო სამგორის სარწყავმა სისტემამ, რომელმაც გაასარწყავა 23.100 ჰექტარი. გაშენდა ქარსაცავი ზოლები, გარკვეულად შეიცვალა კლიმატი, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ამ დარგის დაჩქარებული განვითარებისათვის. ჩამოყალიბდა მევენახეობის სპეციალიზებული მეურნეობები, კერძოდ, მანავში, საგარეჯოში, გიორგიწმინდაში, ხაშმსა და იორმუღანლოში. შეიქმნა ჩაილურის ვაზის სანერგე მეურნეობა. ყოველივე ამის შედეგად საგარეჯო მოწინავე მევენახეობის რაიონებს გაუტოლდა. ახლა ჩვენთან ზვრებს 5.297 ჰექტარი უჭირავს. აქედან 3.058 ჰექტარი სრულმოსავლიანია. წლეულს ჩვენი მევენახეები ჩაებნენ 500 000 ტონა ყურძნისათვის გაშლილ ლაშქრობაში და გადაწყვიტეს სახელმწიფოს 23.000 ტონა ყურძენი მიჰყიდონ. მომდევნო წლებში სოფლის მეურნეობის ამ ძვირფასი პროდუქტის წარმოება დიდად გაიზრდება და 1980 წელს 30 ათას ტონას გადააჭარბებს, 1985 წლისათვის კი — 50 ათას ტონას მიაღწევს.

მევენახეობის გაფართოების კვალობაზე ვითარდება მეღვინეობაც. საკმარისია ითქვას, რომ საგარეჯოში უკვე დაიწყო საექსპორტო ღვინოების ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც საექსპლოატა-

ციოდ 1979 წელს გადაეცემა და მისი წლიური წარმადობა სამი მილიონი დეკალიტრი იქნება. ჯერჯერობით კი რაიონი ამაყობს მემინდვრეობასა და მესაქონლეობაში მოპოვებული წარმატებებით. უკანასკნელ წლებში, საგარეჯოელი მხვნელ-მთესველების მუყაითი შრომის შედეგად ამ დარგებში სასახელო მიღწევები გვაქვს. აღსანიშნავია, რომ შარშან უკვე იმდენი მარცვლეული, ვაწარმოეთ, რამდენიც 1980 წლისათვის არის დაგეგმილი — 38 ათას ტონაზე მეტი, და ამ პროდუქციის შესყიდვის გეგმა 308 პროცენტით შევასრულეთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის მე-18 პლენუმის დადგენილებამ ფართო გზა გაუხსნა რაიონში მეცხოველეობის განვითარებას. ახლა ჩვენთან ამ დარგის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, მისი სამრეწველო რელსებზე გადაყვანა მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ შეიქმნა გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსი, მეფრინველეობის ორი ფაბრიკა, უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა. პატარძეულის კოლმეურნეობა გადაკეთდა მეცხვარეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობად, მიმდინარეობს მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობა გარეჯის საბჭოთა მეურნეობაში (1200 ფური). სოფელ კრასნოგორკის კოლმეურნეობაში შენდება მსხვილფეხა პირუტყვის მოზარდეულის კომპლექსი (3.000 სული).

კარგი შედეგი მოგვცა პირუტყვის სასუქი სპეციალიზებული ბაზების შექმნამ ყანდაურისა და შიბლიანის კოლმეურნეობებში. რაიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის გაზრდა 1980 წლისათვის 11.500-მდეა დაგეგმილი. მათ შორის ფურების ხვედრითი წილი 45 პროცენტზე მეტი იქნება.

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის შემდგომი განვითარების საფუძველზე მტკიცე საკვები ბაზის შექმნით მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა მივაღწიოთ, იმას, რომ რაიონში ვაწარმოოთ 5.498 ტონა ხორცი, 11.115 ტონა რძე, 57 მილიონი ცალი კვერცხი და 140 ტონა მატყლი.

უკანასკნელ წლებში რაიონში დიდი ყურადღება მიექცა მებოსტნეობასაც. სარწყავი წყლისა და მექანიზაციის გამოყენებით ყოველწლიურად ვზრდით ბოსტნეულის წარმოებას. შარშან დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ ხახვის, კომბოსტოსა და სხვა კულტურების მოსავლის მიღებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. მომავალი კი უფრო მეტს გვავალებს. მაგალითად, მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების საერთო ფართობმა 258 ჰექტარს უნდა მიაღწიოს, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ — 168 ცენტნერს. ამრიგად საერთო მოსავალმა 3.600 ტონა უნდა შეადგინოს. ასეთივე პერსპექტივები გვაქვს მეხილეობაშიც, რისთვისაც ორი წელია შეიქმნა გომბორის მეხილეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც წლეულს დიდ ფართობებზე გააშენეს ხეხილის ბაღები.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით დიდად გაიზარდა და კვლავაც გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. თუ 1973 წელს 9 მილიონ 63 ათასი მანეთის საერთო მოსავალი მივიღეთ, 1980 წლისათვის ეს ციფრი 41 მილიონ 656 მანეთს, ხოლო 1985 წლისათვის 50 მილიონ მანეთს მიაღწევს.

საგარეჯო მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო რაიონი როდია. უკანასკნელ წლებში აქ ინტენსიურად ვითარდება მრეწველობის სხვადასხვა დარგები. ახლა რაიონში გვაქვს ავტო და საბურავების შემკეთებელი, რკინაბეტონის; საშენ მასალათა, ღვინის, საკონსერვო, ხორცის გადამმუშავებელი ქარხნები, მატყლის ფაბრიკა და სხვა საწარმოები, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. აღსანიშნავია, რომ დიდ და ინდუსტრიულ ქალაქებთან — თბილისთან და რუსთავთან სიახლოვე ხელს უწყობს ჩვენს რაიონში მრეწველობის განვითარებას. წლეულს 30 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა ვაწარმოოთ, ხუთწლედის ბოლოს კი — 80 მილიონისა. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის სპეციალისტთა კადრების მოსამზადებლად უკვე რამდენიმე წელია საგარეჯოში მუშაობს პოლიტექნიკური ტექნიკუმი, რომელიც ამზადებს მშენებლებს, სააღრიცხვო დარგის მუშაკებს, საქონელმცოდნეებსა და სხვა სპეციალისტებს. ტექნიკუმი მოწინავეა რესპუბლიკაში, აქვს კარგი სასწავლო-მატერიალური ბაზა.

რაიონში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 12 ათას კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელი ფართობი. გარდა ამისა, აშენდა იორმუღანლოს, ლამბალოს, ბადიაურის საშუალო, უჯარმისა და თოხლიაურის რვაწლიანი სკოლების ახალი შენობები, გომბორის, ბადიაურის, უჯარმის, საგარეჯოს, პატარძეულის, ყანდაურის ბაგა-ბაღები, რაისაავადმყოფოს ახალი კომპლექსი, ყანდაურის კულტურის სახლი, უჯარმის, პატარძეულის, გომბორის ყანდაურის სასოფლო საბჭოების შენობები. მანავის, ჩაილურის მეურნეობების ადმინისტრაციული სახლები.

კიდევ ბევრი სიახლის მოწმე იქნება ჩვენი რაიონი ამ მეათე ხუთწლედსა და მომდევნო პერიოდში. ამის გარანტიას გვაძლევს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 6 აგვისტოს დადგენილება „საგარეჯოს რაიონის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც დასახულია აღმშენებლობის ვრცელი პროგრამა და რომელიც ჩვენი მთავარი სახელმძღვანელო დოკუმენტია უახლოესი 13 წლის მანძილზე. დადგენილების საფუძველზე რაიონის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის 135 მილიონ 660 ათასი მანეთის დახარჯვაა დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ ამ დადგენილების მიღების შემდეგ გათვალისწინებული ბევრი ამოცანა უკვე განხორციელდა, კერძოდ, შარშან და შარშანწინ 1.500 ჰექტარზე მეტ ფართობზე გავაშენეთ ვენახებ[illegible], საშუალებას მოგვცემს, მეათე ხუთწლედის ბოლოს, 1985 წლისათვის დასახული ყურძნის წარმოების დონეს მივაღწიოთ.

ჩვენს რაიონში ბევრი რამ კეთდება მშრომელებისათვის, იმისათვის, რომ სრულად აღმოიფხვრას წარსულის ნეგატიური მოვლენების შედეგები, ადამიანებს დაუბრუნდეთ რწმენა. განსაკუთრებით დიდი პროპაგანდა ეწევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — „წარსულის მავნე წესჩვეულებებისა და ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. მისი ცხოვრებაში განხორციელებისათვის რაიონის ბევრ სოფელში დაწესდა ახალი სახალხო დღესასწაულები, რომლებიც შეერწყა მშრომელთა ინტერესებს. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა „გარეჯობამ“, რომელიც უდაბნოს სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე იმართება და ემსახურება წარსულის მატერიალური ძეგლების აღდგენა-განახლებას. საინტერესოდ ეწყობა აგრეთვე ლიტერატურული დღესასწაულები „გოგლაობა“ — პატარძეულში, „ვაჟაობა“ — კოჭბაანში და სხვა.

ყველა ქალაქსა და სოფელს თავისი საუკეთესო ტრადიციები აქვთ, რასაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან, ხალხმა შექმნა რელიკვიები და პატივს სცემს მათ. ერთ-ერთი ასეთი რელიკვია შინმოუსვლელთა ობელისკებია, რომლებიც რაიონის თითქმის ყველა სოფელში აიგო სამამულო ომში დაღუპულთა მოსაგონებლად. „გმირთა სავანე“ პატარძეულში, მანავის „მთაწმინდა“, სამამულო ომში დაცემული ნიკო პავლიაშვილის საფლავი სოფელ კაკაბეთში, მშრომელთა თავშეყრის უსაყვარლეს ადგილებად იქცა.

ჩვენ ბევრი სახელოვანი ადამიანი გვყავს — ყანდაურელი მწველავი ნინო ადუაშვილი, საგარეჯოელი მეცხოველე ვალერიან თედიაშვილი, კომბაინერი ვალერიან ალექსაშვილი, მჭედელი დავით ქვლივიძე, კაკაბელი ზინაიდა ოქრომჭედლიშვილი, ხაშმელი მარიამ თურმანაული... აი, მხოლოდ რამდენიმე მათგანი, ვინც მუყაითი შრომით ასახელა ჩვენი რაიონი. მარტო შარშან მიღწეული წარმატებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით საგარეჯოელ მშრომელთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა.

ახლა რამდენი გამოჩენილი მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი თუ სპორტსმენი დაფრთიანდა გარეკახეთის მიწაზე! მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. საგარეჯოს რაიონს დიდი და ნათელი პერსპექტივები აქვს. მის მიწა-წყალზე მძლავრად ისმის ხუთწლედის ნაბიჯები. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ხვალინდელი დღე კიდევ უფრო ბრწყინვალე იქნება, რომ მომავალში უფრო ფართოდ გაშლის მხრებს ეს უძველესი და განახლებული მხარე.

**მედეა მეზვრიშვილი,**

საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეურნეობის დირექტორი მუხული ჯომშილაძე მევენახეთა ბრიგადაში

# მანავი

ოთხზის მედალოსანი, მსოფლიოში განთქმული მანავის ღვინო აქ მოჰყავთ, სადაც ახლა ციხის ნანგრევებია დარჩენილი.

შეურყეველ ბურჯად ედგა მანავის ციხე წამებულ საქართველოს. ბევრჯერ შეხეთქებია მის კედლებს მტრის მკერდი, ბევრჯერ დაღვრილა ქართველთა სისხლი ციხის ძირას.

იმ დროს, როცა მანავის მეზობელი სოფლები თოხლიაური, შაქედი, ჩაილური და ბურდიანი საბატონო სოფლებს წარმოადგენდნენ, მანავი და თარაქი მეფეების საკუთრება იყო. დაღესტნელი ფეოდალების შემოსევის გახშირების გამო 1706 წელს იმამყულ-ხანმა დატოვა ყარაღაჯი და თავისი რეზიდენცია თელავსა და მანავში გადმოიტანა. აქვე ცხოვრობდა ერთხანს ავით იმამყულ-ხანის უმცროსი ძმა თეიმურაზი, ერეკლე მეორის მამა. მანავის ციხის კალთებსა და თარაქის მიდამოებში აიდგა ფეხი „პატარა კახმა“, ერეკლე მეორემ...

... მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა მიჯნაზე თარაქის თავზე აშენდა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი „ვედრებელა“, ანუ ვედრების წმინდა გიორგის ეკლესია, მეფეების სვეტებიანი სასახლე და სხვა ნაგებობანი.

შემდეგში, 1750-60 წლებში, ხუნძანის ბატონის ნუსალბეგის ორგზის ლაშქრობამ კატასტროფულად შეამცირა მანავისა და გარე კახეთის მოსახლეობა.

ამბობენ, ერეკლე მეორეს ქართლიდან და გურია-იმერეთიდან ჩამოუსახლებია დღევანდელ მანაველთა წინაპრები.

დიდი ისტორია აქვს მანავს. მის მიდამოებში მოკვლეული არქეოლოგიური ძეგლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულს მიეკუთვნება. 1958 წელს ბურდიანის მიდამოებში „სალეკიწვეროში“, ხოლო 1974 წელს „შაქელსა“ და „დუჩიძეების“ მიწებში აღმოჩენილია განტური ქვევრები. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ შორეულ წარსულშიც ყვაოდა მანავში კულტურული მეურნეობა, პირველ რიგში კი, მევენახეობა...

წარსულს ჩაბარდა გარდასულ დროჟამთა სიავე. მანაველმა მშრომელებმა საკუთარი მარჯვენით გამოსჭედეს ნათელი მომავალი. დღეს მანავი ერთ-ერთი მოწინავე სოფელია ჩვენს რესპუბლიკაში...

... რევოლუციის შემდეგ მხოლოდ ორმოცდახუთი ჰექტარი ზვრის ბაზაზე შეიქმნა მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

1950 წელს მოხდა მისი გამსხვილება და მეურნეობას მანავის, ბურდიანის, თარაქის, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ თოხლიაურის კოლმეურნეობაც შეუერთდა. მუყაითმა შრომამ ნელ-ნელა გააძლიერა სოფელი. ოთხი ათას ხუთასი მარჯვენა შეეჭიდა მიწას. ათას ოთხას ჰექტარზე გადაიჭიმა ვაზი, ექვსას ჰექტარზე აბიბინდა ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდი. ას ოც ჰექტარზე ტოტები დაუმძიმდა ვაშლს, ატამს, მსხალს, ოცი ჰექტარი დამუშავდა ბოსტნეულისათვის. ათას ხუთასი ჰექტარი სათიბ-საძოვრად გამოიყენეს. ხუთი აგრო-განყოფილება შეიქმნა. აგროგანყოფილებებს სათავეში ჩაუდგნენ ნოდარ ჩაფიძე, მარლენ კუხალეიშვილი, თენგიზ არუნაშვილი, ზაურ ჭაკაძე და ვალერიან ბაზარაშვილი.

1969 წელს ვალერიან ბაზარაშვილმა ჰექტარზე სარეკორდო მოსავალი, ასი ცენტნერი ყურძენი მიიღო და მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი ლენინის ორდენით დაიმშვენა მკერდი. (მაშინ ვალერიანი მეათე ბრიგადის ბრიგადირი იყო).

მეშინია არ გაგვიჯავრდეს ვალერიანი, მაგრამ ამ დიდ გამარჯვებაში ვფიქრობთ მეცხრე ბრიგადის ბრიგადირს, ვალერიანის მეუღლეს, ციალა კუჭუაშვილსაც მიუძღვის დიდი წვლილი. ციალას წლების მანძილზე სოციშეჯიბრებაში ჰყავდა ქმარი გამოწვეული და წლების მანძილზე ჯაბნიდა



კომკავშირული ბრიგადა

მეუღლეს. წლების მანძილზე ციალას ბრიგადა გამოდიოდა გამარჯვებული. ამიტომაც ხშირად ექილიკება ვალერიანს ციალა:

— მხოლოდ ერთხელ მაჯობე, ისიც იმიტომ, რომ ახალნაშენი ვაზი მქონდაო.

ციალა კუჭუაშვილი მეურნეობის სული და გულია. იგი თავის დაქალებთან ეთერ ქალაქურაშვილთან, საშიკო არუნაშვილთან, ზინა ჭეშურაშვილთან და სხვებთან ერთად დილის ექვსი საათიდან დაბინდებამდე ფუსფუსებს ზვრებში. შვილივით თავს ევლება ვაზს, და აი ციფრები:

1971 წელს ციალას ბრიგადამ 380 ტონა ყურძენი ჩააბარა სახელმწიფოს. თავდადებული ქალი დიდი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა.

1972 წელს 385 ტონა ყურძენი მოიყვანა ციალა კუჭუაშვილის ბრიგადამ და ბრიგადირის შრომა ახლა შრომის წითელი დროშის ორდენით აღინიშნა.

წარსული რაგინდ კარგი და ლამაზი იყოს, მაინც წარსულია. ახლა გაჩაღებულია დიდი, ნაყოფიერი შრომა, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა ქუჩუაშვილი



ნტრალური კომიტეტი წარმართავს ხალხთა საკეთილდღეოდ. ამ სწორმა კურსმა ხალხს რწმენა დაუბრუნა და მანაველი მშრომელებიც უფრო დიდი ვალდებულებების წინაშე დააყენა.

1974 წელი მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი იყო. გამოცდილი პარტიული მუშაკი, მეცნიერების კანდიდატი გუგული ჯიმშელაძე სწორედ მაშინ, 1974 წელს მოვიდა მანავის მეურნეობაში. ობლობაში გაზრდილმა ვაჟკაცმა ყველაზე უფრო იცის შრომის მადლი და ყადრი.

ახალმა დირექტორმა ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა მეურნეობის ტერიტორია, დაგეგმა სად უნდა ჩაეყარა ახალი ვაზი, სად უფრო იხარებდა სიმინდი და პური, რომელი ნაკვეთი ივარგებდა ბოსტნეულისათვის.

მერე მასიურად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრებები. პირველ უბანთან შეიქმნა ახალგაზრდული კომკავშირული ბრიგადა. თინა ჩერქეზიშვილმა ითავა ბრიგადის ხელმძღვანელობა. თინას მხარდამხარ მიჰყვნენ: მარინე ბორაშვილი, ქეთინო უცუნაშვილი, ლუიზა დუჩიძე, მზია ბორაშვილი, დები ლალი და ლია ყიასაშვილები და სხვები. ქალიშვილებმა რვა ჰექტარი ვაზი გაიპიროვნეს. დროულად და ხარისხიანად დაამუშავეს მიწა, დროულად გასხლეს ვაზი, დროულად შეიტანეს სასუქი, თავის დროზე გაფურჩქნეს, შეწამლეს და ჰექტარზე 110 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

მეურნეობამ 1974 წელს 3.600 ტონის ნაცვლად 4.700 ტონა ყურძენი ჩააბარა და 470 ათასი მანეთი მოგება მისცა სახელმწიფოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეხუთე ყრილობის შესახვედრად საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად მანაველებიც თავდადებით შრომობდნენ. უმაღლეს დონეზე დააყენეს შრომის დისციპლინის საკითხი. „არცერთი უსაქმური მეურნეობაში", „ივალდებულე? შეასრულე"! ხმა აღიმაღლა ლენინურმა კომკავშირმა.

მეურნეობამ 4.300 ტონა ყურძნის ჩაბარება ივალდებულა, მაგრამ ვალდებულებას 700 ტონით გადააჭარბა და 700 ათასი მანეთი მოგება მისცა სახელმწიფოს, მათ შორის, 200 ათასი მანეთი ზეგეგმური მოგება იყო.

შრომის ნაყოფიერების ზრდამ მანაველების ეკონომიური და საყოფაცხოვრებო პირობები გააუმჯობესა. აშენდა კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული სახლი, კეთილმოწყობილი მაღაზია. ყველა უბანში გაიხსნა საბავშვო ბაგა-ბაღი. ყველა უბანშია მუშათა სასადილო, მანავის მთაწმინდაზე და თოხლიაურში შინმოუსვლელთა ობელისკები დგას. მეურნეობას აქვს აბანო. გაყავთ სასმელი წყალსადენი 32 კილომეტრზე. თოხლიაურში აშენდება აბანო.

1976 წელს მანავში ქორწინების სახლი გაიხსნა. იგი საზოგადოებრივ საწყისებზე აშენდა გუგული ბეჟანიძის პროექტით. პირველი ქორწილი ორ წყვილს, ნელი საბაშვილსა და ალიკო კუზანიშვილს, მეურნეობის ტრაქტორისტს თემო ზაქაიძესა და ინგილო ქალიშვილს თამარ ხუციშვილს გადაუხადეს. მთელმა სოფელმა იზეიმა ახალგაზრდების ბედნიერება.

რამ გაალაღა ასე მანაველები? რა თქმა უნდა, მატერიალურმა დაინტერესებამ, შრომის სწორმა ორგანიზაციამ, მექანიზაციის მაღალმა დონემ და მიწის სიყვარულმა.

მიმდინარე წელს მანაველებმა 4.700 ტონა ყურძნის მოყვანა ივალდებულეს. ახლა მანავში სანთლით რომ ეძებო, დღისით, კაციშვილს ვერ იპოვი შინ. კაცი, ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ყველა ვენახზეა გასული...

მეთოთხმეტე ბრიგადის ბრიგადირი ქუჟუნა დევენოზაშვილი ოთხ შვილს უზრდის სამშობლოს. მისმა ბრიგადამ ორმოცდახუთ ჰექტარზე 140 ტონა ყურძნის მოყვანა გადაწყვიტა და მესამე ბრიგადის ბრიგადირი ანიკო რამაზაშვილი გამოიწვია სოც. შეჯიბრებაში. მარინე, ნუნუ, ქეთინო და გია ქუჟუნას შვილები არიან. დილაუთენია ზვრებისაკენ მიუძღვის მათ დედა. „ვაზო, შვილივით ნაზარდო", ღიღინებენ გოგონები და ერთი წუთით არ ჩერდება მათი პატარა ხელები.

— ისე როგორც საჭიდაო ხალიჩაზე მოჭიდავეები, ვეჭიდებით ამინდს, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა. მართლაც, ამდენი წვიმისაგან ყოველწუთში მოსალოდნელია ვაზს ჭრაქის ან ნაცარას დაავადება გაუჩნდეს.

ღმერთმა უშველოს თბილისელ შეფებს: ფაბრიკა „მირანის", გორკის სახელობის კულტურის სახლის, პლასტმასის ქარხნის და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც გაჭირვების დროს მხარში ამოუდგნენ მანაველებს. ზოგი პურის ლეწვაში ეხმარებოდა, ზოგი თიბვაში, ზოგი კი ვაზის მოვლაში.

მანაველებმა 1977 წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს და ჩააბარეს 40 ტონა ხორცი, 160 ტონა რძე, 300 ტონა ხორბალი და ქერი, მსხვილფეხა საქონლისათვის მოთიბეს 400 ტონა თივა, ჩადეს 1.200 ტონა სენაჟი, 1.000 ტონა სილოსი. მალე ქარვისფერი ყურძნით აივსება გოდრები. საწნახელიდან ნიაღვარივით წამოვა და ქვევრში დგაფუნით ჩაეშვება მაჭარი, გაჩაღდება ლხინი და ქორწილი, თითქმის ყველა ოჯახში აგუგუნდება „კახური მრავალჟამიერი", გაიხარებს, უფრო გაშენდება და დამშვენდება სოფელი.

**ოლია დადიანი**

# სანთლები

დიახ, ისინი საგარეჯოელები არიან.

მარტო სია რომ წარმოვადგინოთ მათი, ესეც საკმარისი იქნება გულალალად ვთქვათ; მადლობა საგარეჯოს მიწა-წყალო, ამდენი დიდებული შვილი რომ აღგიზრდია მამულისათვის! დღეს თითოეულმა საგარეჯოელმა იცის მათი გვარი და სახელი. ზეპირად ჩამოგითვლიან და სიამაყით დაატანენ: ჩვენია! ჩვენებურია!..

აი, ისინიც;
გიორგი ლეონიძე,
ალ. და ნიკ. ცხვედაძეები,
იოსებ და გაიოზ იმედაშვილები (მამა-შვილი),
რევაზ ინანიშვილი,
მიხეილ ქვლივიძე,
თეიმურაზ ჯანგულაშვილი,
სიმონ მთვარაძე,
გიორგი ნახუცრიშვილი,
ნათელა იანქოშვილი,
ილიკო ქურხული,
მიხეილ ყვარელაშვილი,
გივი და ვახტანგ გულისაშვილები (მამა-შვილი);
გიორგი დარისპანაშვილი,
ნოდარ მამისაშვილი,
მიხ. ჯიღაური,
იოსებ მჭედლიშვილი,
იერემია, სოლომონ, ლენტო გულისაშვილები,
არჩილ გულისაშვილი,
ვასილ გულისაშვილი,
ბიძინა გულისაშვილი,
ელისაბედ ჩერქეზიშვილი (ელა ჩეხოვა),
ირაკლი, შაქრო, არჩილ ელიზბარ ქურდიანები,
ე. და გ. ჯაბადრები,
ლეო ცხვარიაშვილი,
ნინო თათრიშვილი და სხვები.

მწერლები, მხატვრები, მომღერლები, მსახიობები, კომპოზიტორები... ყველა რჩეული მამულიშვილი, თავდადებული და ამაგდარი ქართული კულტურისა.

და ეს არ არის მაინც სრული ნუსხა, რადგან საგარეჯოს რაიონში მოხვედრილ კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყოველმა ქოხმა, ყოველმა გვარმა, ყოველმა სახლმა თითო სანთელი მაინც მიიტანა სამშობლოს საკურთხეველზე. დაე, ჩაუქრობლად ბრიალებდნენ ეს სანთლები!

**ნაზი კილასონია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზინაიდა ოქრომჭედლიშვილი

კახეთს მოედო. ტელევიზიიდან ჩამოვიდნენ მუშაკები. ზინაიდა ვენახში გადაიღეს. მთელმა საქართველომ ნახა მისი ნაზარდი ერთი ძირი ვაზი, რომელსაც 300 კილოგრამი ყურძენი ესხა — ჩამაქრებული, ჩაწითლებული რქაწითელი.

დედმამის შრომას ბავშვები უსიტყვოდ, შეულამაზებლად, შეუქებლად ხედავდნენ, და არ შეიძლებოდა ისინი შეერცხვინათ, კარგად არ ესწავლათ, შრომას გაქცეოდნენ. უფროსმა შვილმა ლიანამ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და კაკაბეთში მასწავლებლად მუშაობს, თავისი ოჯახი აქვს, შვილებს ზრდის. ბაბულიამაც უმაღლესი დაამთავრა და თბილისში მეცნიერულ მუშაობას ეწევა. თემური უმაღლესში სწავლობს და კოლმეურნეობის წევრიც არის. სულ უმცროსმა ნინომ საშუალო სკოლა დაამთავრა და თავისი გადაწყვეტილებით ყველა გააოცა...

1973 წელი იყო. კოლმეურნეები გამგეობის თავმჯდომარის ანგარიშს ისმენდნენ. ზინაიდა საანგარიშო-საარჩევნო კრების

# კაიქალობა

ნარკვევი

არ დააცალეს ქალიშვილობა. 16 წლისას ნიშანი გაუგზავნეს. გასათხოვრად როდი ემეტებოდა სოფელს. ომგადახდილმა ბიჭმა დიდხანს არ იცადა, ნიშნობის მერე სულ მალე მოჰგვარა მშობლებს რძალი. დიდი ქორწილი არ ჰქონიათ ოქრომჭედლიშვილებს. მაშინ ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. ჩაილურიდან მოსული პატარძალი კაკაბეთელ მეზობლებს ეცნობოდა, ცდილობდა ყველას მოსწონებოდა.

ოჯახში წესრიგმა იმატა. მიხვდა პატარძალი, როგორ მოსწონდა მისი საქმიანობა ქმარს და ყველაფერს აწკრიალებდა — ეზო-კარმიდამოს, სახლს, სამზადს, ღია აივანს. მაგრამ სოფელში მარტო ოჯახისათვის ვერ იცლიან. ველ-მინდვრები, სახნავ-სათესი, ხოდაბუნები და ვენახები ადამიანებს უხმობენ. რა კარგია გადახედვა გორაკებზე შეფენილი სახლებიდან, რომლებიც ერთმწკრივად ჩარიგებულან რვა კილომეტრზე და კაკლები, თუთა, ბალი და ვაშლი მოუჩრდილებიათ. ამ სახლებიდან ყველაფერი ხელისგულივით ჩანს — ალიონი, მზის ამოსვლა, პურის ყანები, მოგუგუნე კომბაინები, ვენახები, ვენახები — კახეთის სული და გული.

მიწამ დაუძახა ზინაიდას. პატარძლობაც არ მოეთავებინა, რომ მინდვრად გავიდა. ისე გაწმინდა და გააკოხტავა ვენახი, ისე ღონივრად წამოაყენა ფეხზე ვაზები, რომ იფიქრებდით, ადამიანები არიან, ოღონდ არ საუბრობენო.

ზინაიდა ელაპარაკებოდა მათ. დილიდან ღამემდე თავის ფიქრებს, მოლოდინის გამართლებას მათ ანდობდა. პირველად მათ ახარებდა დედობის მოახლოებას, შემდეგ წამოჩიტული გოგონების ფეხის ადგმას. ვენახიც იფერებდა ნდობას, ფესვს იმაგრებდა, ტანს იყრიდა, მტევნებს აშაქრებდა, ნაყოფით ამაყობდა. სახელი გაითქვა ზინაიდას ვენახმა. ერთხელ, მესამედ იყო ფეხმძიმედ, დიდხანს რომ დარჩა ვენახში. მერე შინ დაბრუნდა, აბრეშუმის პარკი გამოასუფთავა და პუნქტში წაიღო. აწონეს აბრეშუმი — რვა გრამი ჭიიდან 24 კილოგრამი პარკი მიიღო. მერე ვაჟი ეყოლა.

ვაჟიანობამ ისე გაახარა ორი ქალიშვილის დედ-მამა, რომ გადაწყვიტეს ახალი სახლი აეშენებინათ.

მეოთხე გოგო დაიბადა. ზინაიდა მერგოლური იყო მაშინ და ერთი წუთი ვერ რჩებოდა შინ. ძუძუს რომ მოაწოვებდა, ნაბოლარას მოზრდილებთან ტოვებდა და ხან ვენახში იყო, ხან ბოსტანში, ხან კალოზე.

ბავშვებმა თვითონ დაზარდეს ერთმანეთი. ისე გადავიდნენ კლასიდან კლასში, დედა არ შეუწუხებიათ. სახლსაც უვლიდნენ, ქათმებსაც, გოჭებსაც, პურსაც აცხობდნენ და ხუთოსნებიც იყვნენ.

ზინაიდას მეუღლე იოსები ბრიგადირი იყო. ცუდლუტობას და სიზარმაცეს ვერავის აპატიებდა. ზინაიდასთან არ სჭირდებოდა სიმკაცრე. მერგოლურ ცოლს საკუთარ ნაკვეთში შვიდი-რვა ტონის ნაცვლად ჰექტარზე თვრამეტ-ცხრამეტი ტონა ყურძენი მოჰყავდა. ეს არნახული ამბავი მთელ მონაწილე იყო და, როგორც ბრიგადირს, კოლმეურნეობის ჩამორჩენა აწუხებდა.

მისთვის სრულიად მოულოდნელად თავმჯდომარედ დაასახელეს. ყველაფერი იყო იმ წუთში — გაოცება, დაუჯერებლობა, შიში, უიმედობა. ხალხი არ ცხრებოდა. იცოდნენ მისი შრომის ფასი, მისი კაიქალობა, გულითადობა, და ხელმძღვანელობა მიანდეს.

„ქალია და ვერ შეძლებს", „სჯობს შინ იჯდეს და პური აცხოს", „შეძლებს კი არა, მეტსაც იზამს", „თუ გვიშველის, ეგ გვიშველის" — ასეთები ბევრჯერ გააგონეს თავმჯდომარეს და კიდევ დიდხანს ქოთქოთებდა სოფელი. კარგსაც ამბობდნენ და ავსაც. მაგრამ უფრო მეტად კარგს ისმენდა ხალხისაგან. მას შეჰყურებდნენ, საით დაგვიძახებს, საით წაგვიყვანსო. ყველგან თან მიჰყვებოდნენ, უარს არაფერზე ეუბნებოდნენ, მასთან იდგნენ ყინვასა თუ სეტყვაში, მასთან ერთად ტიროდნენ სეტყვისაგან თვალებდათხრილ ვაზთან.

სად ღამდებოდა და სად თენდებოდა, ვერ ამჩნევდა. ხალხი გვერდით ედგა და ღონე ემატებოდა. 1973 წელი კარგი შედეგებით დაამთავრეს, 1974 წელს მოგება ჰქონდათ. 1975 წლის მაისში ისეთი სეტყვა მოვიდა, გორებად იდგა ხოშკაკალა. მხრები ჩამოყარა ვაზმა. გული გაიმაგრეს კახელებმა. ქუდზე კაცი გამოვიდა ვენახში, გასხლეს და სანაქებო რქა წამოვიდა. მეორედ მოვიდა სეტყვა. ისევ გაპარტახდა ვენახი. კვლავ გასხლეს, კვლავ გაახალისეს ვაზი, მოუშუშეს იარა. 13 ივნისს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამედ მოვიდა სეტყვა. ახლა ადამიანები გაეჯიბრნენ ჯიუტობაში მას. მესამედ გასხლეს და გაუმართლდათ იმედი — ორი რქა გამოიღო თითო ვაზმა. რქები სუსტი იყო, მაგრამ გულდაგულ შეწამლეს, რომ მოეღონიერებინათ. იმ წელს კოლმეურნეობას მოგება არ ჰქონია, მაგრამ არც ზარალი უნახავს.

1976 წელს ჩვიდმეტგრადუსიანმა ყინვებმა მთლიანად მოყინა ვენახი. კახელებმა ძირები გადაჭრეს და ახალი ვაზი ამოიყარა. შარშან სანახევროდ შესრულდა ყურძნის ჩაბარების გეგმა. წლეულს დიდ მოსავალს ელიან.

გადაჭარბებით სრულდება კოლმეურნეობაში ხორცის, რძის, ბოსტნეულის, აბრეშუმის ჩაბარების გეგმები.

ზინაიდამ გაუმართლა ხალხს იმედი. ახლა მხოლოდ ხუმრობით ამბობენ მასზე: „ქალია, შინ დაჯდეს და პური აცხოსო“. ზინაიდა პურსაც აცხობს, ოჯახსაც უვლის და მაინც დღედაღამ კოლმეურნეობის მინდვრებშია. 1008 ჰექტარ სახნავ-სათესს მოვლა უნდა. 430 ჰექტარი მსხმოიარე ვენახია. ასე ჩინებულად მოვლილ ვენახს ბევრგან ვერ შეხვდებით. წლეულს 708 ტონის ნაცვლად ორჯერ მეტ ყურძენს ჩააბარებენ.

შარშან დეკემბერში 48 ჰექტარზე, მრავალწლიანი ბალახების ფართობებზე ახალი ვაზი ჩაყარეს. წლეულს 100 ჰექტარ ვენახს გააშენებენ. 28 ჰექტარი სამწლიანი ვენახი აქვთ. ავ თვალს არ ენახვება! ყველა ვაზი საუკეთესოდ მოვლილი, ამაყად აშოლტილი, მტევნებით დახუნძლულია. ზინაიდამ მოითხოვა და გეგმა მისცეს ამ სამწლიან ვენახსაც.

ფერმაში 560 მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ. ადრე ზაფხულობით ცივზე მიდენიდნენ საქონელს. ახლა ეს მთა ყანდაურის კოლმეურნეობას გადაეცა, სადაც სასუქი ბაზაა შექმნილი. კაკაბეთელებმა 114 სული მოზარდეული ჩააბარეს ყანდაურელებს. თავიანთი საქონლისათვის ბლომად აქვთ მომარაგებული საკვები.

დღედაღამ გაისმოდა ფართობებში კომბაინების გუგუნი. 655 ჰექტარზე უდანაკარგოდ აიღეს ხორბალი.

კაკაბეთის კოლმეურნეობას სოფელ ვერხვიანის კოლმეურნეობა შეუერთდა. ახლა ორივე სოფელში ხუთიათასამდე მცხოვრებია. მოხუცები და ბავშვები ხშირად ავადმყოფობენ. სამის ნაცვლად მხოლოდ ერთი ექიმი ჰყავთ. რა ქნას სოფელმა, როცა შაბათ-კვირას ეს ერთადერთი ექიმიც თბილისშია?

ზინაიდას უმცროსმა ქალიშვილმა ნინომ სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობაში წავიდა სამუშაოდ. მისმა კომკავშირულმა რგოლმა ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანა და პრემიაც მიიღო. ნინო ფიქრობს, რომ სოფელს ექიმი სჭირდება, ფიქრობს ექიმობაზე. რატომ არ მოდიან ამ ალალმართალ, მხიარულ და მშრომელ სოფელში ექიმები? კაკაბეთი ულამაზესი, უმშვენიერესი მხარეა კახეთში! „მაშ ჩვენ გავხდებით ექიმები“, — ჩაიდო ნინომ ფიქრი გულში. „მაგრამ ჯერ ბევრი დროა“, — დაასკვნა და ტრაქტორზე დაჯდა სამუშაოდ.

თავმჯდომარის გამხდარმა გოგომ მეზობელი რაიონების მოწოდების პასუხად მექანიზატორთა კურსები დაამთავრა. ოჯახში არავის დაუშლია მისთვის ეს განზრახვა. დედას კიდეც გაუხარდა მისი არჩევანი. მთელი სოფელი გამოვიდა ნინოს ტრაქტორის ხმაზე, სოფელში ეგონათ, ეს კაფანდარა გოგო პურს ვერ ჩააკრავსო და აგერ, 400 ლიტრიანი შესაწამლი აპარატით მწკრივებს შორის დაატარებს ტრაქტორს, ისე სხარტად და მოხერხებულად წამლავს ვაზებს, წუნს ვერ უპოვნი. შინ რომ ბრუნდება, წიგნებს უზის, სტუდენტობისათვის ემზადება.

სოფელში მშრომელი ხალხი ცხოვრობს. აქ ზარმაც კაცს ვერ ნახავთ. შრომის სიყვარულით დააარსეს მაღლა მთაზე შრომის პარკი და საეკლესიო დღეობების ნაცვლად შრომის დღესასწაულებს იხდიან.

კლუბი არ უვარგათ. ახალი სასკოლო შენობა სჭირდებათ. ეს ძალიან აწუხებს ზინაიდას და, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამ საქმეების მოსაგვარებლად თბილისში ჩამოდის.



მოწველი აკაკი ჭიკაძე

მათი წინაპრები მჭედლები ყოფილან, თურმე ოქროს ჭედავდნენ. ნაომარ ერეკლე მეფეს ჩამოუვლია სოფელზე, ხმლის გადაჭედვა უთხოვია ერთ-ერთი პავლიაშვილისთვის. მასაც ისეთი ოქროს ხმალი გამოუჭედავს, რომ აღტაცებულა მეფე და დარქმევიათ ოქრომჭედლიშვილები!

დღეს მთელი ეს ლამაზი გვარი კაკაბეთში ქვეყნის დოვლათს ჭედს. ისინი პატიოსანი, გულმხურვალე და ალალი მჭედლები არიან, შრომის მჭედლები. ამ გვარს ალამაზებს ზინაიდა. სოფელსაც ალამაზებს ზინაიდა, სიცოცხლე რომ შემატა მას.

„ეგებ ქუდი მაინც დაიხურო, თავი გაგისკდება მზეზე!“ აგონებენ მეგობრები.

„სად მცალია ქუდისათვის“. — ამბობს ქალი.

„ეგებ შინ მაინც შეუხვიო და ჭამო რამე!“

„შინ?“

რამდენი ხანია ზინაიდას დღისით არ უნახავს თავისი სახლი!...

„შინ?“ სად მცალია ჭამისათვის!“

და გზას გაჰყურებს, რომელიც ლამაზი სახლებიდან ეშვება ვენახებისკენ, ყანებისკენ, კალოებისკენ, ფერმებისკენ...

გზა დიდ ცხოვრებაში შედის.

**ლია კაკაბაძე**



ამოწმებენ სათესლე ხორბალს



ზ. ოქრომჭედლიშვილი მექანიზატორებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარაქალა, მეფრინველეებო!

წიწილები ვის არ უნახავს, ვის არ აუყვანია ხელში ახლადგამოჩეკილი, ბამბის ქულასავით ფუმფულები, თვალები შავი მძივებივით რომ უელვარებთ! არ მეგულება ადამიანი, რომ ამ უწყინარ არსებებს სიყვარულით არ მოფერებოდეს.

როცა საგარეჯოს საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის ერთდღიანი წიწილების საამქროში შესვლა დავაპირე, რათა ათასობით ახლადგამოჩეკილი ფრინველი ერთად მენახა, ფაბრიკის დირექტორმა მორის დალბაშვილმა ნება არ დამრთო.

— არ შეიძლება. ამაზე მისაყვედურებენ.

მე გამელიმა და გაკვირვებით შევხედე. მან კი მიზეზი ამიხსნა.

— ეს, ერთი შეხედვით უწყინარი არსებები, ძალზე აგრესიულები, მოჩხუბრები არიან. გამოჩეკისთანავე მათ შორის იწყება ქიშპობა, აშინებენ ერთიმეორეს, ძიძგილაობენ, საჭმელს იტაცებენ, ფრინველების ნაწილი მშიერი რჩება, კნინდება, იკლებს წონაში. გარდა ამისა, თუ უცხო ადამიანი გაივლის საფრინველეში, მათს შინაგან ნერვულობას შიშიც ემატება; ქათმები კრთებიან, და, წარმოიდგინეთ, ამ ემოციის გამო წიწილები სამი-ოთხი დღით წყვეტენ ზრდას, თვითეულ ფრინველზე 75-80 გრამი დანაკლისი მოდის. აბა, ეს გადაამრავლეთ ათასობით ფრთაზე! რამდენი ტონა ხორცია?



კვერცხისმდებელმა ქათმებმა შიშზე შეიძლება რამდენიმე დღით შეწყვიტონ კვერცხის დება.

ცნობილი მეცნიერი ი. პავლოვი ამტკიცებდა, რომ შიში და კიდევ სხვა ფიზიოლოგიური სიმპტომები, რომლებიც წარმოიქმნება წიწილებში ძლიერი აღზნებადობის დროს, დიდხანს და ზოგჯერ სამუდამოდ აღიბეჭდება თავის ტვინის ქერქზე.

ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო. საფრინველეში შესვლის სურვილი აღარ გამომითქვამს და ფანჯრიდან შევიხედე.

ოთხსართულიანი გალიები სავსე იყო ახლადგამოჩეკილი წიწილებით. რამდენიმე ათასი ფრინველი ისე წივწივებდა, რომ ყურთასმენა არ იყო. დერეფნებში საკვებით სავსე ტომრები ელაგა.

პატარძეულის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა 1968 წელს დაიწყო. 1972 წელს იგი ნაწილობრივ გადაეცა საექსპლოატაციოდ და 25 ათასი ფრთა ქათამი მოაშენა. 1973 წელს მათი რაოდენობა 60 ათასამდე გაიზარდა.

ფაბრიკა მეკვერცხეობის მიმართულებისაა, აქ აშენებენ „კროს-288" კანადური ჯიშის თეთრ ქათამს, რომელიც დიდი კვერცხისმდებლობით გამოირჩევა. მასზე უკეთესი ჯიში არ არსებობს. წლეულს ფაბრიკას ექვსი თვის გეგმით 71.400 ქათამი უნდა გაეზარდა, ფაქტიურად 84.600 ფრინველი გამოზარდა.

ფაბრიკაში 25 ათასის ნაცვლად 34 400 კვერცხისმდებელი ქათამი ჰყავთ. წლეულს ექვს თვეში სახელმწიფოსათვის 2 მილიონ 95 ათასი ცალი კვერცხი უნდა ჩაებარებინათ, ფაქტიურად კი 2.657.800 ჩააბარეს. საინკუბაციოდ 228.000. ცალი უნდა ჩაეწყოთ, სინამდვილეში 346 ათასი ჩააწყეს. საკუთარი წარმოებისათვის გამოსაზრდელი ფრინველის მისაღებად 78 ათასი კვერცხის ნაცვლად ინკუბატორში 102 ათასი ცალი კვერცხი ჩააწყეს. ფაბრიკამ გადაჭარბებით შეასრულა ხორცის ჩაბარების გეგმა — 130 ცენტნერის ნაცვლად 143 ცენტნერი ხორცი ჩააბარა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სოფლის მეურნეობაში მეფრინველეობასაც შეეხო. შეიცვალა ფრინველების გამოზრდის ვადები, გაიზარდა პროდუქტიულობა, რამაც მეფრინველეობა მეცხოველეობის გამოსავლიან დარგად გადააქცია.

მახსოვს, სოფელ ნინოწმინდაში, მამიდაჩემი კრუხს კვერცხებზე რომ დასვამდა, გამოჩეკილი წიწილების ნახევარი იხოცებოდა: აი, გაცივდაო, აი, ქორმა მოიტაცაო...

როცა მორისს ვკითხე, დანაკარგები გაქვთ თუ არა მეთქი, მიპასუხა: არა, არა გვაქვსო.

— ბარაქალა, მეფრინველეებო!

მანანა გაბროშვილი პატარა წიწილებს უვლის — ერთიდან 30 დღემდე ასაკისას. მას 8 ათასი ფრინველი აბარია. ერთი დღის წიწილა 35 გრამს იწონის, მანანამ კი ისე კარგად უნდა მოუაროს, საჭმელი და წყალი არ მოაკლოს, არც ანერვიულოს, რომ თვის ბოლოს თითოეული წიწილა 250 გრამს იწონიდეს. მანანა ახალგაზრდა დედაა და წიწილებსაც ისე ევლება თავს, როგორც საკუთარ შვილს.

სირანა ქართველიშვილიც გამოსაზდელ წიწილებს უვლის.

მარინე ზუკაკიშვილი აკლიმატიზაციის საამქროში მუშაობს. მან 1975 წელს დაამთავრა სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლა და ფაბრიკაში არჩია მუშაობა. გოგონა ათი ათას ერთთვიან წიწილას 120 დღემდე ზრდის. გულმოდგინედ უვლის, საკვების გადახარჯვა არა აქვს. გეგმურად ასრულებს გამოზრდის პროცენტს. ამასწინათ მას თანასოფლელებმა ნდობა გამოუცხადეს და სოფლის საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ნათელა ბურდულიც აკლიმატიზაციის საამქროში მუშაობს. იგი სამოცდღიან წიწილებს 120 დღემდე უვლის.

გულიკო დოლენჯაშვილი კვერცხის მდებელ ქათმებს მზრუნველობს. საკვერცხე საამქრო მთლიანად მექანიზირებულია, კონვეიერიდან ახალი კვერცხი ჩამოდის და ყუთებში ეწყობა.

ფაბრიკაში 115 მუშა-მოსამსახურეა. მათი უმეტესობა ქალები არიან. ეს ადამიანები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საქმეს. ჩვენ რომ ვესტუმრეთ, წინა დღის ნაწვიმარი იყო. გამოედარა. მზე იკბინებოდა. ძალზე ცხელოდა. ეზოში წყლის გუბეებს ორთქლი ასდიოდა. მორის დალბაშვილს გადაღლილობა ეტყობოდა. ფაბრიკის ეზო-მიდამოს გადაჰყურებდა და წინა ღამეს იხსენებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სოფელს გვიანობამდე არ ეძინა, ყველა ტელევიზორს მისჯდომოდა. თბილისას „დინამო“ თამაშობდა. თამაში დამთავრდა, ფეხბურთის მოყვარულები ისევ თავიანთ შთაბეჭდილებებზე ლაპარაკობდნენ, რომ უეცრად ელექტროხაზი დაზიანდა, სოფელში სინათლე ჩაქრა, რა თქმა უნდა, ფაბრიკაშიც. თავში გამიელვა: „დავიღუპეთ! საკმარისია რვა საათი დარჩეს ინკუბატორი უდენოდ, რომ 65 ათასი კვერცხი გაფუჭდეს და მასთან ერთად 36 ათასი ერთდღიანი წიწილა გაცივდეს და დაიღუპოს.“ მაშინვე მოვძებნე ჩვენი მთავარი ენერგეტიკოსი გიორგი დარბაისელი, მონტიორი, სოფლის მცხოვრებლები. ხუთი საათის განმავლობაში ვეძებდით დაზიანების ადგილს. ეს ძალზე მძიმე შრომა იყო, რადგან ირგვლივ უკუნი ღამე იდგა. როგორც იქნა, აღვადგინეთ დენი. მაშინვე ინკუბატორში გავჩნდი, გავსინჯე კვერცხები და თავისუფლად ამოვისუნთქე — საშიშროებას გაევლო, ყველაფერი რიგზე იყო.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს კარგი საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ. ახლახანს მუშებისათვის რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი ააშენეს. მასში მხოლოდ ორი ოჯახია შესახლებული, დანარჩენებს ჯერჯერობით ბინა არა სჭირდებათ.

ფაბრიკის ტერიტორიაზე ცხრა საფრინველეა, მათ სამი კიდევ შეემატება. მაშინ ფაბრიკა მთელი დატვირთვით იმუშავებს.

საფრინველეებს შორის წითელი ვარდები ყვავის, რაც ძალზე უჩვეულო კოლორიტს ქმნის. ვარდებს უფრო მეტს დავრგავთო, — გვითხრეს.

პირველი ინკუბატორი საქართველოში ილია ჭავჭავაძემ გამოიწერა საზღვარგარეთიდან, რამაც გააკვირვა და აღაფრთოვანა ადგილობრივი გლეხები. ილიას ინკუბატორი შავ წიწილებს ჩეკავდა, რადგან ასეთი ჯიშის კვერცხი ჩამოჰყვა თან. გლეხებს უკვირდათ, უკრუხოდ რომ იჩეკებოდნენ წიწილები. ილია ნატრობდა, ყველა სოფელში ყოფილიყო ასეთი ინკუბატორი.

ნატვრა ასრულდა, დღეს მთელ საქართველოში უბრალო ინკუბატორების ნაცვლად მეფრინველეობის უზარმაზარი ფაბრიკებია, რომლებიც ხორცითა და კვერცხით ამარაგებენ მოსახლეობას.

ეთერ როსტომაშვილი



# უდაბნოს სიცოცხლე

წელიწადის ყოველ დროს უჩვეულო კოლორიტი აქვს უდაბნოს. ზამთარი არც თუ იშვიათად არის დიდთოვლიანი, გაზაფხულზე კი, როცა მაისის წვიმებით მიწა გულს გაიგრილებს, როცა მეცხვარეები მთაში წასასვლელად ემზადებიან უდაბნოს ველ-მინდვრები მრავალფერი ყვავილებით მოირთვება და მოიკაზმება. მერე იმძლავრებს ზაფხულის ხვატი და უდაბნო ამართლებს თავის სახელს... შემოდგომით მთაში გალაღებული ცხვარ-ძროხა ბარად ჩამოდის და უდაბნოს კვლავ უბრუნდება თავისი ეშხი და სილამაზე.

გადმოცემით, სადაც ახლა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ცენტრია, პირველი ბინა პატარძეულელ გიორგი ჯილაურს დაუდგამს. უფრო მოგვიანებით კი 1927 წელს უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, რომლის პირველი დირექტორი თუში კონსტანტინე აბაშიძე იყო. თავდაპირველად მეურნეობას საცდელი პროფილი ჰქონდა, ხოლო სულ მოკლე ხანში იმდენად გაძლიერდა, რომ მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი.

მკითხველს უფრო სრული წარმოდგენა რომ ჰქონდეს უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაზე, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მეურნეობის სავარგულები, სახნავ-სათესი, სათიბი და საძოვრები, საკარმიდამო ნაკვეთები, ქარსაფარი ზოლებისა და ბუჩქნარის ჩათვლით 48 683 ჰექტარს შეადგენს. აქედან ყველაზე მეტი ფართობი 39 ათასი ჰექტარი საძოვრებია, შედარებით მცირეა სახნავ-სათესი, იგი 5.212 ჰექტარს არ აღემატება.

პირუტყვის სულადობის მხრივ უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში. ამჟამად იქ 88 ათას სულზე მეტ ცხვარ-თოხლს ითვლიან.

მეურნეობაში მეცხვარეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, მწყემსთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პირუტყვისათვის ახალი, თანამედროვე ტიპის ფარეხების აშენება, მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ზოოტექნიკური და ზოოვეტერინალური მომსახურების მაღალ დონეზე აყვანა. საზამთრო საძოვრების გაუმჯობესება, კვალიფიციური მწყემსების მომზადება, უფრო კონკრეტული, პრაქტიკული ხელმძღვანელობა.

ამ თვალსაზრისით ძველთან შედარებით უკანასკნელ ორ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა და გაკეთდა, მომავალი კი უფრო მეტს გვპირდება. შენდება საკვების შესამზადებელი გრანულიატორი, მექანიკური კალო, მანქანა-იარაღების შესაკეთებელი სახელოსნო, მარცვლეულის შესანახავი საწყობი (300 ტონის ტევადობით), მექანიკური აბაზანა, ფარეხები (თვითეული 800 სული ცხვრისათვის), საწვავ-საცხები მასალების შესანახავი საწყობი, ცხოველთა ხელოვნური დათესლვის პუნქტი, მწყემსთა საცხოვრებელი ბინები.

როგორც ვთქვით, გარკვეულ პერიოდში უდაბნოს დასახლება უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ყოფილი საცხოვრებელი ბინები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, გზები ძალიან დაზიანდა, უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის შექმნის შემდეგ (1975 წ. ივნისი) საჭირო გახდა უდაბნოს ცენტრის განაშენიანება და კეთილმოწყობა. უახლოეს მომავალში უდაბნოს დასახლებას თორმეტბინიანი საერთო საცხოვრებელი და 27 ფინური სახლი დაამშვენებს. წლეულს უდაბნოს 11 კომლი შეემატა, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად მოვიდნენ. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ ახალმოსახლეთა რიცხვი კიდევ გაიზარდოს. უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია უდაბნოს დასახლების ცენტრის კეთილმოწყობა, ცენტრალური გზის მოასფალტება. მომავალში უფრო მეტი რამ არის გასაკეთებელი, კერძოდ, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს უდაბნოს 10 ათას ჰექტარი მაღალნაყოფიერი, მაგრამ ურწყავი სავარგულების გასარწყავების პროექტი. გაივლის მცირე დრო და უდაბნოს მხოლოდ სახელი შერჩება ძველი. ის თანამედროვე, კეთილმოწყობილი სოფელი იქნება, სულ მალე დაიწყება მეურნეობის პერსპექტიული გეგმის დამუშავება, რაც სხვა ღონისძიებებთან ერთად 250 კომლის ჩამოსახლებასაც ითვალისწინებს. ახლახანს მიიღეს ახალი, თანამედროვე ტიპის სასადილო, ამოქმედდება საფოსტო განყოფილება, მუშაობს სამედიცინო პუნქტი. პირველ სექტემბერს უდაბნოში პირველი ზარი დაირეკა. აშენდება საბავშვო ბაღი, პოლიკლინიკა, აბანო, სასმელი წყალი 15 კილომეტრზე იქნება რესტავრირებული.

ჩვენი წინაპრების სისხლითა და ცრემლით მორწყულ ამ მადლიან მხარეს თანდათან უბრუნდება სიცოცხლე...

ვ. ჩეკურაშვილი,
საგარეჯოს რაიგაზეთის „ივრის განთიადის“ რედაქტორის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლიანი სიტყვის ძალა



უჩვეულოა ეს დღეს ჩემთვის — ბავშვივით ვკრთი, ვღელავ... მოკრძალებით მივაბიჯებ ქუჩაში და ვფიქრობ იმ მოსალოდნელ შეხვედრაზე, რომელიც სასიამოვნოც არის ჩემთვის და ამაღელვებელიც.

ძნელია მასთან საუბარი. იგი ყოველთვის თვალებში შემოგცქერით, ზოგჯერ უსიტყვოდაც გესაუბრებათ და ამოსაცნობია, მოსწონს თქვენი ნათქვამი, თუ ჩუმი საყვედურით გტუქსავთ, ნაკლზე მიგითითებთ. სასიამოვნოა და სიხარულის მომგვრელი, როცა მისთვის ჩვეული ტკბილი ქართულით დედასავით მოგესიყვარულებათ, მოგესათუთებათ და საკუთარი გულის სითბოს გაგრძნობინებთ. მის გონიერ, ცეცხლოვან თვალებს, რაღაც დიდი მაგიური შთამაგონებელი ძალა აქვს, რომელიც გიპყრობს და გიმორჩილებს. ხან გულუბრყვილო ბავშვივით თავს დაბლა დაგახრევინებს, ხან კი აგამაღლებს, საკუთარი თავისადმი რწმენას გაგრძნობინებს.

ცხოვრებაში უპრეტენზიო, საკუთარი თავისა და აღსაზრდელისადმი უაღრესად მომთხოვნი, პრინციპული, მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას სამართლიანი, ყველას მიმართ თავაზიანი და თავმდაბალი — აი როგორ იცნობენ საგარეჯოში რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, ღვაწლმოსილ პედაგოგს — ნინო ვლადიმერის ასულ ასათიანს!

... ნინო მასწავლებელი ჩვეული ღიმილით შემომეგება, ხელი მომხვია, გულში ჩამიკრა თავისი გაზრდილი და როდესაც ჩემი მისვლის მიზეზი შეიტყო, შეცბა, შეწუხდა, უხერხულად შეიშმუშნა... ძუნწად, უბრალოდ მიამბო ზოგი რამ...

40 წლის წინ მოვიდა იგი საგარეჯოს რაიონში და გომბორის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ერთი წლის შემდეგ საგარეჯოს საშუალო სკოლაში დაინიშნა სკოლის დირექტორად. 1939-დან 1941 წლამდე მუშაობდა ამავე რაიონის პედსასწავლებლის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ. 1943-45 წლებში იგი იყო საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების პედკაბინეტის გამგე და საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. 1945 წლიდან 1969 წლამდე მუშაობდა საგარეჯოს საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო მუშაობის დარგში და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რაიონის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციას. იყო ახლის მუდმივ ძიებაში, არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით, ეჭვის თვალით უყურებდა სასახელო შრომით გავლილ საკუთარი ცხოვრების გზას და მშობლიურ ენაზე შეყვარებული პედაგოგი ახალ-ახალ ხერხებსა და მეთოდებს ნერგავდა სწავლებაში, ეხმარებოდა ახალგაზრდებს ამ რთული პროფესიის დაუფლებაში. ამიტომ იყო რაიონის ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა მასწავლებლის გულის სიმის თბილ გულთან მჭიდროდ დაკავშირებული, ამიტომ არის იგი დღესაც მასწავლებელთა მასწავლებელი.

ნინო მასწავლებელს ჰქონდა ის განსაკუთრებული უნარი, რაც ასე აუცილებელია მომავალი თაობის აღმზრდელებისათვის, ჰქონდა ის მადლიანი სიტყვა, რაც ასე სჭირდება ლიტერატურის მასწავლებელს.

სასახელოა კეთილი საქმე, ფართოდ იდგამს ფესვს მისი ნაყოფი, რომელსაც მოაქვს დიდი სიხარული და ბედნიერება. ბედნიერია ნინო მასწავლებელიც, რადგან მისი სიკეთის თესლი უხვად აღმოცენდა. დღეს რაიონის მოწინავე ადამიანთა უმრავლესობა მისი მადლიანი სიტყვის ძალით არის დავაჟკაცებული! ისინი, მისი საყვარელი მოსწავლეები, ისე ბევრნი არიან, რომ ჩამოთვლა ძნელდება. თვითონ კი სიამაყით, პირზე ღიმილით თვლის მათ სახელებს და არ იღლება...

დიდი ხანია რაიონის ფარგლებს გასცდა მისი აღზრდილების მედეა მეზვრიშვილის, ნეუნა ფანოზიშვილისა და სხვათა სახელები, სახელები ჩირაღდნად რომ ანთია მის სულში, და ნიადაგ სიამაყით ავსებს...

არც აღზრდილები ივიწყებენ ამაგდარ პედაგოგს, მის სახელზე დღესაც უამრავი წერილი მოდის.

ვალმოხდილი ნინო მასწავლებელი ახლაც ჭაბუკური შემართებით იღვწის. თუმცა ხანგრძლივმა ზრუნვამ და შრომამ თმაში ჭაღარა გაუჩინა, მაგრამ კვლავაც მხნედ გამოიყურება, კვლავ შრომობს. საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლასთან (დირექტორი რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ივ. ბედიაშვილი) შვიდი პენსიონერი პედაგოგისაგან შექმნილია ჯგუფი, რომელმაც ცხოვრების ფართო გზაზე გასულ ყოფილ მოსწავლეებს დაუწესა, პერიოდულად ანგარიშით წარსდგნენ ხოლმე ახლანდელი მოსწავლეების, მათი მშობლებისა და პედაგოგების წინაშე. და, აღზრდილებიც მოკრძალებით, რიდითა და ღრმა პატივისცემით მიდიან ანგარიშის ჩასაბარებლად!

ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უანგარო პედაგოგიური საქმიანობისათვის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მისი ღვაწლი ღირსეულად დააფასა. რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, კომუნისტ ნინო ასათიანს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო.

თუმცა, ზუსტად ვინ განსაზღვრავს პედაგოგის შრომას. იგი განუზომელია...

ეთერ მურმანოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულის სითბოთ

კაკაბეთი ერთ-ერთი დიდი სოფელია საგარეჯოს რაიონში. ცივგომბორის ქედის სამხრეთ კალთებზე შეფენილ ამ სოფელში გამრჯე ადამიანები ცხოვრობენ. შორს გაუთქვეს აქაურ ვაზსა და ღვინოს სახელი მევენახეებმა, კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლენინის ორდენოსანმა ზინაიდა ოქრომჭედლიშვილმა, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანმა ვანო ჭიკაძემ, ლენინის ორდენოსანმა ილია ცხოვრებაძემ და მრავალმა სხვამ. სოფელი ამაყობს მწერლების იოსებ მჭედლიშვილის, გიორგი პაპუაშვილის, პოეტ ბელა შალვაშვილის სახელებით.

მდიდარი შრომითი და კულტურული ტრადიციების სოფელში მშრომელებს შესაფერისი გართობისა და დასვენების პირობებიც აქვთ, რისთვისაც დღენიადაგ ზრუნავენ სოფლის მესვეურნი. დღეს კაკაბეთელებს ემსახურება კეთილმოწყობილი მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონი, ორი სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელთაგანაც ერთი იოსებ მჭედლიშვილის სახელს ატარებს.

ბიბლიოთეკაში ათი ათასზე მეტი წიგნია. თაროები აქ ყოველთვის ლამაზადაა გაფორმებული, მოწყობილია სხვადასხვა სტენდები, თვალს ახარებს სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე, რაც ბიბლიოთეკის გამგის ნუნუ კუპატაძის დაუღალავი შრომის შედეგია. ჩანს, ყველაფერი გაუკეთებია ბიბლიოთეკარს იმისათვის, რომ მკითხველი, სათანადო ლიტერატურის შერჩევის გარდა, ყველაფრით კმაყოფილი დარჩეს. მკითხველი კი არ აკლია ბიბლიოთეკას. აქ ყოველდღე მოდიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან შეუყვარდა ნუნუს წიგნები და ბიბლიოთეკარის პროფესია. სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოგრაფია-ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1966 წლიდან კაკაბეთის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნეს და მანაველი ქალიშვილი ამ სოფლის რძალიც გახდა.

აფასებენ, პატივს სცემენ კაკაბელი მშრომელები ნუნუ ბიბლიოთეკარს, რადგან მასთან საუბარში, მის მიერ შერჩეული წიგნებიდან ყოველთვის იძენენ ახალსა და საინტერესოს.

ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა თემატიური გამოფენები, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები შრომისა და ომის ვეტერანებთან, მწერლებთან, რაიონისა და რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან. მოიწვიეს მწერალი ვანო ურჯუმელაშვილი და განიხილეს მისი წიგნი „ფერისცვალობა“, შეხვდნენ თანასოფლელ პოეტს ბელა შალვაშვილს, დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველ მწერლებს — თეიმურაზ ჯანგულაშვილს, ვახტანგ გორგანელს, გივი გოგიჩაიშვილს. განიხილეს ალექსანდრე კალანდაძის წიგნი „დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში“, რომელშიც სამშობლოს ღირსეულ დამცველთა შორის კაკაბელი მებრძოლები ჭიკაძე და მიხეილ ოთიაშვილიც არიან მოხსენებული.

ნუნუ კუპატაძე მრავალი სხვა საინტერესო ღონისძიებების ორგანიზატორიცაა. მისი ინიციატივით ყოველი წლის რვა მარტს შეხვედრას უწყობენ შრომის მოწინავე ქალებს, მართავენ კონცერტებს, აქტიურად მონაწილეობენ სოფელში დამკვიდრებულ „შრომის ზეიმში“. კაკაბელი კულტურის მუშაკები საიუბილეო წლის ალოობის პერიოდში უშვებენ კედლის გაზეთს „მომკელს ეძახის თავთავი“, საველე ფურცლებს, მართავენ კონცერტებს, მექანიზატორებს ჟურნალ-გაზეთებით ამარაგებენ, ამ დღეებში მოაწყეს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა.

ნუნუ კუპატაძე მრავალ საზოგადოებრივ დავალებას კეთილსინდისიერად ასრულებს. უყვართ კაკაბელ მშრომელებს აქტიური კულტმუშაკი. იგი არაერთხელ აურჩევიათ სასოფლო საბჭოს დეპუტატად, სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრად; არც რაიონის ხელმძღვანელობისაგან აკლია პატივისცემა და დაფასება ნუნუ ბიბლიოთეკარს, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მის მიერ შერჩეული საინტერესო წიგნის წაკითხვის შემდეგ სახეგაბრწყინებული მკითხველის დანახვაა. ამისათვის არ იშურებს ის გულის სითბოსა და მონდომებას.



გივი დაბახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

# არ დაიდარდო დედაო

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!

ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

მე გაგიხუნე ლეჩაქი,
მაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლ-ცვარი სიჭაბუკური.

მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...

მტერთან ჩემს სიკვდილს ნუ იტყვით,
დამალეთ ჩემი სამარი,
თუ მტერმა გკითხოს, უთხარი,
კრემლშია, სტალინთან არი!

და თუ სტალინმა მიკითხოს,
უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი,
იქ ვდგავარ სადაც ნათობენ
სტალინის მამაპაპანი!

ცხრა ძმათ მეათედ მიმილეს,
პირზე მაყარეს ვარდები,
დაჭრილს, დამზრალს და
                    გზადაღლილს
დამხურეს მუზარადები.

თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე
                    დავდგებით.

არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

1944



შინმოუსვლელთა მემორიალი





საგარეჯოს საშუალო სკოლა









ნომრის ფოტოები მოამზადა დავით იაკობაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა წარსულს იხსენებს

დილიდანვე მწვავედ იკბინებოდა მზე, საღამოხანს კი ამინდი შეიცვალა. ქალაქის თავზე მრუმე ღრუბლები შექუჩდნენ, ნაადრევად ჩამობნელდა, დასავლეთიდან მოვარდნილი ქარაშოტი ძალუმად ეძგერა ქუჩის პირას ჩამწკრივებულ ხეებს და მოწყვეტილი ფოთლები წაღმა-უკუღმა ააცეკვა. თვალისმომჭრელად იელვა, დაიგრუხუნა და პირველი მსხვილი წვეთები დაეცა ასფალტზე.

ქალმა ქოლგა გაშალა და ნაბიჯს აუჩქარა, მალე მისი სახლიც გამოჩნდა, სწრაფად შეაღო ეზოს კარი, საფოსტო ყუთიდან ჟურნალ-გაზეთები ამოალაგა და კიბეს აუყვა. ოთახში არ შესულა, სველი ქოლგა დაუკეცავი დადო იატაკზე და ტანსაცმელი ჩამოიბერტყა.

ფანჯრებს შეხედა თუ არა, გუნება გაუფუჭდა — შინ არავინ ელოდა, მარტოობის უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა, ძალდატანებით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და მკერდით მოაჯირის სვეტს მიეყრდნო.

მაგიდას მიუჯდა, სათვალე მოირგო და ჟურნალ-გაზეთების დასტა ახლოს მოსწია, იატაკზე ჭრელი კონვერტი დაეცა, ქალმა დახედა ლამაზად გამოყვანილ ასოებს და შვილიშვილის ხელი რომ იცნო, კეთილმა ღიმილმა გაუნათა დაღარული სახე.

— საყვარელო ბებია ქეთევან, — სწერდა პატარა სეხნია, — ასე რატომ მოგვანატრე თავი? რატომ აღარ ჩამოდიხარ? არ გეგონოს რომ გიბრაზდები ან გემდური, ვიცი, რომ ძალზე ბევრი საქმე გაქვს სამსახურში და ყოველთვის ვერ მოიცლი ჩვენთვის, ყოველდღე ვეხვეწებით მე და ირაკლი დედიკოს და მამიკოს საგარეჯოში წაგვიყვანეთ ბებიასთანთქო, ისინი კი ხან კრებებს იმიზეზებენ, ხანაც თათბირებს. იცი, ბებიკო, რამდენი ახალი წიგნი წავიკითხე, ხომ გიყვარს ჩემი მოსმენა, ჰოდა, თუ წამიყვან, იმდენ ახალ ამბავს მოგიყვები. ჰო, მართლა, მამამ ისეთი ბუთხუზა ლეკვი მომიყვანა, რომ ნახო, მაშინვე შეგიყვარდება. რატომღაც დედა ვერ შეეწყო, იმ დღეს საწოლში ჩავიწვინე და კინაღამ ორივე მიგვტყეპა, საწყალი „ბუთხუზა" წკნავილით გააგდო გარეთ, დამემუქრა მეზობლის ბიჭს უნდა ვაჩუქოო, თუ შენ დროზე არ მიშველე, ვიცი მაგის ხასიათი, დანაპირებს უთუოდ შეასრულებს. იჩქარე, მალე ჩამოდი, წაგვიყვანე ირაკლი, მე და „ბუთხუზა".

*გკოცნი, შენი ქეთინო.*

— ჩემო კუდრაჭა გოგო, მართლაც რამდენი ხანია არ მინახიხარ, შენც მოგენატრე განა? — თვალები დაუწყლიანდა და შვილიშვილის გამოგზავნილ ბარათს სიყვარულით ეამბორა.

ცოტა რომ დაუცხრა მღელვარება, ჟურნალი გადაფურცლა, მერე რაიონული გაზეთი გაშალა, მეორე გვერდზე დასტამბული წერილის კითხვა დაიწყო.

— საგარეჯოს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, — იუწყებოდა გაზეთი,—წლების მანძილზე ვერ ასრულებდა გეგმებსა და ნაკისრ ვალდებულებებს, ირღვეოდა პრეისკურანტით დაწესებული ფასები, შემკვეთები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სისტემის მუშაკთა მიმართ, ძალზე ხშირად გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, საილუსტრაციოდ ეს ფაქტებიც კმარა: 1973 წლის დავალებები სამმართველოს კოლექტივმა 59 პროცენტით შეასრულა, ასეთივე მდგომარეობა იყო მომდევნო წელსაც, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკებმა უარესი მაჩვენებლებით დაამთავრეს წინა წლები, მას შემდეგ კი რაც კოლექტივს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი ორგანიზატორი და საუკეთესო სპეციალისტი ქეთევან გოდერძიშვილი, მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, განმტკიცდა მშრომელთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, ამაღლდა საწარმოო დისციპლინა და რაც მთავარია, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ახლა სისტემაში ძალზე იშვიათად თუ შევხვდებით ფასების დამახინჯების შემთხვევებს.

გაწეული მუშაობის შედეგია, რომ სამმართველოს კოლექტივმა 1975 წლის დავალებები 103 პროცენტით გაანაღდა, მოგების გეგმა კი — 214 პროცენტით, მომსახურების სფეროს მუშაკებმა გამარჯვებით დაასრულეს მეათე ხუთწლედის პირველი წელიც, მათ პროდუქციის დანამატისა და მეცამეტე ხელფასის სახით ჯილდოდ მიიღეს 5.900 მანეთი, ტემპი არც საიუბილეო წელს შეუნელებიათ და ექვსი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 100.7 პროცენტით შეასრულეს.

რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაობაში მომხდარი ძვრები მეტყველებს კოლექტივის ხელმძღვანელობის უნარიან



მუშაობაზე, პირველ რიგში ეს ითქმის სამმართველოს უფროსზე — ქეთევან გოდერძიშვილზე, რომელიც ხანდაზმულობის მიუხედავად (იგი 71 წლისაა) წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და პირადი მაგალითით სანიმუშოა.

გაწეული შრომა დაუფასდა ამაგდარ ადამიანს, წლების მანძილზე მოპოვებულ ჯილდოებს — შრომის წითელი დროშის ორდენს, მედალს — „1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში „შრომითი მამაცობისათვის", ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედალს მან კიდევ ერთი მიუმატა, მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა-ვალდებულებების შესრულებაში აქტიური მონაწილეობისათვის და საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ამაგდარი ადამიანი მეორე შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა...

დანარჩენი სტრიქონები ვეღარ გაარჩია, თვალის უპეებში ჩამდგარმა ცრემლებმა ნაოჭებში გაიკვლიეს გზა და ღაწვებზე ჩამოეკიდნენ.

მაშ, დამიფასდა შრომა? — მაგრამ ამდენს მაინც არ ველოდი... სიხარული დაიოკა, თავზე ხელები შემოიჭდო და მოგონებათა ბურუსში გაეხვია...

* * *

ეტლი ნელა მიჯაყჯაყებდა ოღროჩოღრო გზაზე, სიცხისაგან შეწუხებულ მგზავრებს ლაპარაკის ხალისი დაჰკარგოდათ და ძუნწად თუ მიუგდებდნენ ერთმანეთს სიტყვას.

ხუთმეტიოდე წლის გოგონა ნაღვლიანი თვალებით უცქერდა ტრიალ მინდვრებს, მისი ფიქრები მშობლიურ სოფელში დარჩენილ დედას, დაძმებსა და ტოლ-სწორებს დასტრიალებდა, ვინ იცის, როდისღა მოუწევს მათი ნახვა, ერთი წლის შემდეგ, თუ უფრო გვიან?

ამოიოხრა და გულიც თან ამოაყოლა.

—ნუ დარდობ, მალე შეეგუები სასწავლებელს, ახალ მეგობრებს შეიძენ, იქნებ სახლში აღარც გინდოდეს დაბრუნება, — თითქოს ნაფიქრალს მიუხვდაო, თავზე ხელი გადაუსვა მამამ.

ქეთევანმა ნაძალადევად გაიღიმა.

ლოჭინთან ეტლი რუხფარაჯიანმა ჯარისკაცებმა გააჩერეს, შაშხანიანმა, ჩაფსკვნილმა კაცმა მგზავრებს პირადობის ცნობები მოსთხოვა, გულდასმით გადაათვალიერა გაცრეცილი დოკუმენტები და ბოლოს ქეთევანის მამას ჰკითხა:

— სად მიგყავთ ეს გოგონა, განა არ იცით რომ თბილისში არეულობაა?

— სწავლის გაგრძელება სურს.

— კარგი გული გქონიათ, მიბრძანდით. ჯარისკაცი გაიჯგიმა, მარჯვენა ხელი საფეთქელთან მიიტანა და ფეხი ფეხს შემოჰკრა. ყველას გაეცინა.

ეტლმა ჯაყჯაყით განაგრძო გზა.

ეს იყო 1921 წელი...

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლემ ქეთევან გოდერძიშვილმა მალე ყველა განაცვიფრა თავისი ნიჭითა და მონდომებით. სწავლას მოწყურებული ქალიშვილი გვიან ღამემდე ჩაჰკირკიტებდა კონსპექტებს და წარჩინებით აბარებდა გამოცდებს.

ცოდნის ძიებაში ვერც კი გაიგო როგორ გაირბინა სწავლის წლებმა, ახალბედა სპეციალისტი მარტყოფის აგროუბნის აგროტექნიკოსად დანიშნეს და დაწყებითი სკოლის მასწავლებლობა მიანდეს, სულ მალე რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს...

ეს მოხდა 1925 წელს: კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრებს დაავალეს მოეგვარებინათ სოფელ ლილოში საბავშვო ბაღის გახსნის საქმე, კრებაზე სიტყვით გამოსულ ქეთევანს საბჭოთა ხელისუფლებაზე გამწყრალმა ბობოლამ ხანჯალი ესროლა, ქალიშვილი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ წინააღმდეგობამ როდი შეაშინა, ნახევარი წელიც არ იყო გასული ამ ამბის შემდეგ და ლილოელმა ნორჩებმა საბავშვო ბაღის გახსნა იზეიმეს.

ქეთევანისათვის ყველაზე ნაყოფიერი მაინც სტუდენტობის წლები გამოდგა, თბილისის ზოოვეტერინალური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტთა ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს და სტუდენტი — ახალგაზრდობის საკავშირო ყრილობის დელეგატად გაგზავნეს მოსკოვში, სადაც იგი სერგო ორჯონიკიძეს გაეცნო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ რაიონში მიწგანის აგრონომზოოტექნიკოსად დანიშნეს, რამდენიმე წლის შემდეგ კი რაიონის სახალხო მოსამართლედ აირჩიეს.

სამამულო ომის წლებში ქეთევანი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა, ზურგის ფრონტის შუაგულში ტრიალებდა, მინდორსა და ბაღ-ვენახებში მშრომელთა გვერდით ალამ-ათენებდა.

ქეთევანმა სხვებთან ერთად იზეიმა ვერაგ მტერზე გამარჯვება.

1947 წლიდან ქ. გოდერძიშვილი რაიონის ადგილმრეწველობის დირექტორად დანიშნეს, ომი ახალი დამთავრებული იყო, ჭირდა მუშა-ხელი, მასალები, მაგრამ წინა წლებში ჩამორჩენილი კოლექტივი უნარიანმა ხელმძღვანელმა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. 1951 წელს ადგილმრეწველობის მუშაკები სოცშეჯიბრში პირველ ადგილზე გამოვიდნენ და რესპუბლიკის გარდამავალი დროშა დაისაკუთრეს. ეს გამარჯვება მშრომელებთან ერთად კოლექტივის თავკაცმაც გამოჭედა.

სადაც ჩამორჩენილი უბანი იყო, ქეთევანსაც ხელმძღვანელად იქ აგზავნიდნენ და საკვირველი ის იყო, რომ ქალი ადვილად უღებდა საქმეს ალღოს და ყველა ზღუდეებს წარმატებით სძლევდა.

1962 წელს ქეთევან გოდერძიშვილი პერსონალურ პენსიაზე გავიდა.

ახლა კი ვიჯერებ შვილიშვილების ალერსით გულსაო, ფიქრობდა ბებია.

გავიდა რამდენიმე წელი.

ერთ დღეს ქეთევანს პარტიის რაიკომში გამოუძახეს.

— ერთი საჭირბოროტო საკითხი უნდა გადავწყვიტოთ და თქვენი აზრი გვაინტერესებს, — უთხრა ღიმილით პარტიის რაიკომის მდივანმა.

— სიამოვნებით, თუ კი რამე შემიძლია, — მხრები აიჩეჩა გაკვირვებულმა ქალმა.

— მაშინ პირდაპირ გეტყვით, გადავწყვიტეთ, რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად დაგნიშნოთ.

— მე, 69 წლის ქალი, სამმართველოს უფროსად? დაუჯერებელია, — შეცბა ქეთევანი.

— თქვენ ოღონდ გადაწყვიტეთ და დანარჩენი ჩვენ ვიცით...

და, გადაწყვიტა...

... იატაკზე რაღაც საგანი დაეცა ხმაურით, ფიქრებიდან გამორკვეული ქალი გაზქურას მივარდა, ორთქლს შორს გაეტყორცნა ჩაიდანის სახურავი, წყალი გულამობრუნებული თუხთუხებდა...

**ზაურ აბესაძე**

თენგიზ გოგოლაძე

# სიყვარული და ფილოსოფია

ნოველა

ყოველთვის მოკრძალებით მოდიოდა ჩემთან. ხელს რომ ჩამომართმევდა, ჟრუანტელი მივლიდა, მას კი მორცხვი ბავშვივით უწითლდებოდა ლოყები და ვატყობდი, რომ ძალიან ვუყვარდი.

საღამოობით ჩაის ლიმონით შევექცეოდით.

მას თლილი და ლამაზი ხელები ჰქონდა, მშვენიერი თვალები და ტუჩ-კბილი; ზედმეტად ლამაზი, ვიდრე ვაჟკაცს შეშვენოდა.

ყოველდღე ისე მექცეოდა, თითქოს პირველად გავეცანი. მეტად გაუბედავი და მორცხვი იყო, მაგრამ ლაპარაკის მოყვარული. ფილოსოფიური ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი გახლდათ.

მუქი ჩაი უყვარდა, ოდნავ განელებული. სვამდა ნება-ნება, ყლუპ-ყლუპით.

ჩემს ხელს მის ჭიქასთან ახლოს ვდებდი, ეგებ გაებედა და ალერსი გაემეტებინა. ო, როგორ მინდოდა, მისი ხელი ჩემს ხელს შეხებოდა! ამის წარმოდგენაზეც კი ვითენთებოდი.

მე ალერსი მწყუროდა. ის კი ჩაის მოსვამდა, ჭიქას ფრთხილად, უხმაუროდ დადგამდა და დაბალი ბარიტონით განაგრძობდა ლაპარაკს სიცოცხლის არსზე, ჰეგელის ლოგიკაზე, აბსოლუტურობის დიალექტიკაზე და სულის ფენომენოლოგიაზე.

მისი სიტყვებიდან თითქმის არაფერი გამეგებოდა.

მას რომ ხელი შეეხო ჩემთვის, უფრო მეტს გავიგებდი სიცოცხლის არსზე. ის კი სხვათა ნააზრევის დომხალს გატაცებით მთავაზობდა.

და მე ვითმენდი.

მაგრამ, ერთხელ, როცა კიდევ გავბედე და ჩემი ხელი მის ჭიქასთან სულ ახლოს დავდე, მან ჭიქა ოდნავ განზე გასწია და მომერიდა. მაშინ მისებრი ტონით მივმართე:

— ძვირფასო!

იგი შეიმშუშნა, ბანგმორეული თვალები მომაპყრო და გაინაბა.

— ძვირფასო! — გავუმეორე ხმის თრთოლვით, ორივე ხელი კალთაში ჩავიწყე, თავი დავხარე და განვაგრძე, — რატომ არის, რომ ასოციაციები, რაც უნდა კომპაქტურად და კომპეტენტურად იყვნენ ისინი კომბინირებულნი, წარმოშობენ კომუნიკაციების ერას და რეტროგრადების მიერ ასტროფირებულია, როგორც ბანალური ანაქრონიზმები?

ფერი ეცვალა, ბანგმორეულ თვალებში შიშმა გაუელვა. წელში შესწორდა, უკან გადაიწია და მკითხა:

— სერიოზულად ამბობთ?

— სერიოზულად! — მივუგე, წამოვდექი და გამოცლილი ჭიქები სამზარეულოში გავიტანე. როცა დავბრუნდი, ის პალტოს იცვამდა. კართან გამომემშვიდობა და წავიდა.

წავიდა და წავიდა.

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, მაგრამ დღემდე არ მავიწყდება ფილოსოფოსი, რომელსაც ძლიერ უყვარდა საუბარი ჰეგელის ლოგიკაზე, აბსოლუტურობის დიალექტიკაზე და სულის ფენომენოლოგიაზე.



კ. მარქსის
სახელმწიფო რესპუბლიკ



ახალი საავადმყოფოს შენობა

წინათ აქ ტრიალი მინდორი იყო, გამჭვალავი ქარი მძლავრობდა. სულ ექვსიოდე თვეა, რაც მშენებლობა დასრულდა და შიგ სიცოცხლე დამკვიდრდა. შენობის ფასადზე ამოტვიფრულია წარწერა „საგარეჯოს რაიონული საავადმყოფო“.

რაიონული საავადმყოფო შეუფერებელ შენობაში იყო მოთავსებული და მხოლოდ 100 ავადმყოფს ემსახურებოდა. უჭირდათ ექიმებს, სამედიცინო პერსონალს, უმძიმდათ ავადმყოფებს, ახლა კი იგი უახლესი ტიპის სამედიცინო აპარატურით არის აღჭურვილი. თერაპიული, ქირურგიული, ბავშვთა, ინფექციური, სამშობიარო-გინეკოლოგიური — აი, არასრული სია მოქმედი განყოფილებებისა და თუ ამას ახალ პოლიკლინიკასაც დავუმატებთ თავისი კაბინეტებით, დავრწმუნდებით, რაოდენ წინ წავიდა რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურება. საავადმყოფოს 65 ექიმი, 700-ზე

# სიცოცხლის გადასარჩენად

მეტი მედპერსონალი 265 ავადმყოფს ემსახურება.

განყოფილებებს, რომლებიც ცალკეულ კორპუსებშია მოთავსებული, ფართო, ნათელი ოთახები და კეთილმოწყობილი ვერანდები აქვს.

დილის 9 საათია. საავადმყოფოს მთავარი შესასვლელის კარები იღება. სამედიცინო პერსონალი სხდომათა დარბაზში იკრიბება. მორიგე ექიმი ანგარიშს აბარებს. მძიმე ავადმყოფების მდგომარეობასა და მათთვის გაწეულ მკურნალობაზე ამახვილებენ ყურადღებას.

სამუშაო დღე იწყება და ავადმყოფთა ზრუნვაში შეუმჩნევლად მიდის დრო. მთავარი ექიმის გ. მჭედლიშვილის, მკურნალი ექიმების იმედიანი ნაბიჯები, იმედიანი მზერა, ღიმილი და, რაც მთავარია, გულისხმიერი მკურნალობა ავადმყოფებს განკურნების რწმენას უნერგავს, აჯანმრთელებს.

მიმღებ განყოფილებაში თეთრხალათიანთა ფუსფუსია. ავადმყოფებს იღებენ, პირველ სამედიცინო დახმარებას უწევენ. განყოფილება აღჭურვილია რენტგენოდიაგნოსტიკური კაბინეტითა და ელექტროკარდიოგრაფიული აპარატით.

მძიმე ავადმყოფი გვიან ღამით მოიყვანეს. მიმღებ განყოფილებაში სასწრაფოდ იღონეს ყველაფერი. დიაგნოზი შეუცდომლად დაუსვეს — სასწრაფო ქირურგიული ჩარევაა საჭირო.

საოპერაციო ოთახში სიჩუმეა. დასტაქარი იური ვარდიაშვილი განკარგულებებს იძლევა. მკაფიოდ ისმის ავადმყოფის მძიმე სუნთქვა. ქირურგიული იარაღების ხმაური. ოპერაცია დასრულდა. კიდევ გადარჩა ერთი სიცოცხლე.

— მშვენივრად გამოიყურებით, — უთხრა მეორე დილით ექიმმა. ნაოპერაციევი ავადმყოფი ფერმიხდილი იყო, მაგრამ ბედნიერად იღიმებოდა. შეპღიმოდა ადამიანს, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა.

ახლახან ბორბლებიანი საწოლით ახალგაზრდა ქალი შემოიყვანეს, რომელსაც გინეკოლოგი ლილი ბუზარაშვილი თავს დასტრიალებს. თვალები კი დაღლილობისაგან მილულვია. გვერდით პალატაში ახლადდაბადებულების ტირილი ისმის. ჩვილ ბავშვთა პალატაში ცეროდენები გრამებს იმატებენ, სახლებში კი უდიდესი სიხარული შეაქვთ. მოსაცდელში ჭაღარა ქალი და ახალგაზრდა კაცი დგანან. მამას ბიჭიანობას ულოცავენ.

... მომჯობინებულები ვერანდებზე ნელი ნაბიჯით მიმოდიან.

ახალ შენობაში რომ გადავიდნენ, უფრო გაფართოვდა, ახალი აპარატურით აღიჭურვა ფიზიოთერაპიული განყოფილება. განყოფილებას ჩინებულად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ექიმი ნათელა საიდოვა. აქვეა სამკურნალო ფიზკულტურისა და სამასაჟო კაბინეტები. სულ მალე აქ წყლისა და ტალახის პროცედურებით უმკურნალებენ ავადმყოფებს.

საავადმყოფოში დიდი ყურადღება ექცევა დიეტურ კვებას. სამზარეულო მთლად ახლებურად არის აღჭურვილი, რაც ალბათ კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ავადმყოფთა სწორ კვებას.

საავადმყოფოს ძირითადი ბირთვია განყოფილებათა გამგეები მაყვალა ბაღდადაშვილი, მარიამ ქურხული, იური ვარდიაშვილი, სულიკო ცაცკრიალაშვილი, ექიმი-ლაბორანტი ლილი კალანდარიშვილი, ქირურგი თეიმურაზ მჭედლიშვილი, სტომატოლოგი თამარ ქურთიშვილი.

სამკურნალო დარგში მთავარი ექიმის მოადგილის მარიკა ბაბუნიძის დაუღალავი მარჯვენა მუდამ შემართულია ავადმყოფთა გადასარჩე-



საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე მარიკა ბაბუნიძე კოლეგებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად. როცა აუცილებელია, სპეციალისტებს დედაქალაქიდანაც იწვევს.

დიდი ზრუნვისათვის, დიდი გულისათვის, დიდი შრომისათვის, დიდი ცოდნისათვის უყვართ ასე უსაზღვროდ მარიკა ექიმი ავადმყოფებს.

სძინავს ქალაქს, საავადმყოფოს ვრცელ და ნათელ პალატებში სიწყნარეა. მაგრამ არ სძინავთ მხოლოდ მორიგე ექთანებს, მორიგე ექიმებს, ავადმყოფთა ჯანმრთელობის ერთგულ დარაჯებს.

ავადმყოფები თავდადებული ექიმების ციცინო ზაქარიაშვილის, ცირა ხებრელაშვილის, ნელი ექვთიმიშვილის გვარებს სიყვარულით იხსენებენ, მათი ფასდაუდებელი ამაგით იხიბლებიან.

საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად საავადმყოფოში ხშირად ეწყობა მედდების თეორიული კონფერენციები.

ექიმთა კოლექტივს მხარში უდგანან გამოცდილი ექთნები: ქსენია აზარიაშვილი, მარიამ ნაცვლიშვილი, ნანული კერატიშვილი, ნაზი მდივანი.

საავადმყოფოში მედიცინის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი აფთიაქია, რომელსაც პროვიზორი ციალა კერატიშვილი ხელმძღვანელობს.

ხშირად გაიგონებთ ავადმყოფებისაგან: — რა იდეალური სისუფთავე და წესრიგი, რა ზრუნვა და ყურადღება იგრძნობა, მადლობა, დიდი მადლობა!

და ყოველივე ეს ჩვენმა საბჭოთა წყობამ მოუტანა ადამიანებს. ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით — მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება მშრომელთა სამედიცინო მომსახურების დონე.

გვიან ღამით, ტელეფონი რომ აწკრიალდება, ყველამ უკვე იცის, რომ საავადმყოფოს მთავარი ექიმი მძიმე ავადმყოფის ამბავს კითხულობს....

**ეთერ ჯაფარიძე**


საოპერაციო მაგიდასთან

# გარეკახეთის კურორტები

## მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში

ცივ-გომბორის ქედის სამხრეთი კალთები, გარეკახეთის, კერძოდ, საგარეჯოს რაიონს რომ ესაზღვრება, თვალწარმტაცია წელიწადის ყოველ დროს. თვალუწვდენელი ტყეები, ცივი, საამო წყაროები, ივრის მშვენიერი ჭალა ამ ადგილებს საუკეთესო დასვენების კერად აქცევს.

სოფელი გომბორი ცნობილია მშვენიერი ჰავით აქ ყოველწლიურად მრავალი მოაგარაკე ჩამოდის თბილისიდან და რუსთავიდან; ბევრი დამსვენებელია ცივ-კოდაზე, რომელიც ქ. საგარეჯოდან ათიოდე კილომეტრით არის დაშორებული და ზღვის დონიდან 1.520 მეტრზე მდებარეობს. დ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ამ კურორტის ჰავა სასიკეთო გავლენას ახდენს სისხლნაკლულთა ჯანმრთელობაზე.

კურორტი ჯერჯერობით აუთვისებელია და მოსახლეობა აქ არაორგანიზებულად ისვენებს. კარგი იქნება, თუ მომავალში რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სხვა სათანადო ორგანოები დაინტერესდებიან ამ კურორტით, ჩააყენებენ მას რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში.

მანავის ჩრდილოეთით მდებარე ტყე-ველიანი ტერიტორია საუკეთესო დასასვენებელი ადგილია. აქ მოთავსებულია რუსთავის ქიმიური ქარხნის პიონერთა ბანაკი. ბანაკში ყოველწლიურად ასობით მოსწავლე იკაჟებს ჯანმრთელობას.

მომავალი თაობისათვის კარგი საჩუქარია წყაროსთავის პიონერთა ბანაკი, რომელიც ყოფილი სამონადირეო სახლის ბაზაზე გაიხსნა. სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დიდი შრომა გასწია — აგო ახალი კორპუსები, სპორტული მოედნები, კეთილმოაწყო ტერიტორია. წლეულს პიონერთა ბანაკი მთელი დატვირთვით მუშაობდა.

კურორტ უჯარმას საგარეჯოს მარგალიტი შეიძლება ეწოდოს. იგი ზღვის დონიდან 850 მეტრზე მდებარეობს და თბილისიდან მხოლოდ 40 კილომეტრით არის დაშორებული.

უჯარმაში დღემდე კარგად არის შემორჩენილი ვახტანგ გორგასალის დროინდელი ციხე-სიმაგრე, რომელიც მრავალ ტურისტსა და ექსკურსანტს იზიდავს.

1962 წელს, ნავთობის საძიებო სამუშაოების დროს, აქ ერთ-ერთი ჭაბურღილიდან თერმულმა მინერალურმა წყალმა ამოხეთქა. ეს წყალი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ორგანულ ნივთიერებებსა და ნავთობპროდუქტებს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის გამოკვლევებით დადგინდა, რომ უჯარმის წყალი ბევრ სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავს. წყლის დებეტი საკმაოდ დიდია, დღე-ღამეში 250 ათას ლიტრს აღემატება.

წყლის აღმოჩენიდან არ გასულა ორიოდე წელი და უჯარმაში აშენდა სააბაზანო შენობა. 100 ადგილიანი პანსიონატი. ასე დაიწყო კურორტის ისტორია, რომლის პოპულარობა სულ მალე რესპუბლიკის ფარგლებსაც კი გასცდა.

კურორტი დაბალი მთის ზომიერ კონდიციურ ზონაში მდებარეობს და ხელსაყრელი კლიმატური პირობები აქვს. უჯარმის მინერალური წყალი, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, სამკურნალო თვისებებითა და ეფექტიანობით არ ჩამოუვარდება ცნობილ სამკურნალო წყლებს — მენჯის, ცაიშს, თბილისის გოგირდოვან წყლებს.

უჯარმაში ძირითადად სახსრებისა და გულსისხლძარღვთა სისტემით დაავადებულნი მკურნალობენ. აქაური წყლის აბაზანებს კარგად იტანენ ხანდაზმულნიც. კურორტს სათავეში უდგას ექიმი მ. ყუფარაძე.

დღეს კურორტს ერთდროულად შეუძლია მიიღოს 130 კაცი. ახლო-მახლო სოფლებისა და ქალაქების ბევრი მცხოვრები სარგებლობს ამ აბაზანებით. ისინი ძირითადი სამუშაოსაგან მოუწყვეტლად მკურნალობენ.

კურორტს დიდი პერსპექტივები აქვს: დიდი წყლის მარაგი, კარგი ადგილმდებარეობა, სამრეწველო ქალაქებთან სიახლოვე. მოკლე ხანში დაიწყება ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. სულ მალე გამოიყვანენ სასმელ წყალს, გაიხსნება „სოიუზპეჩატის" კიოსკი და ა. შ.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ დამსვენებელთა პირობები მთლიანად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ბევრი რამ კვლავ მოსაგვარებელია. კარგი იქნება, თუ სათანადო ორგანიზაციები მეტად დაინტერესდებიან კურორტ უჯარმით.

**ა. ნეკრესელაშვილი,**
საგარეჯოს რაიგაზეთ „ივრის განთიადის" რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

# პატარძეულში

(წიგნიდან „ნატვრის ხის“ ერთი თავი)

ისევ პატარძეულის აივანზე ვდგევარ...

ჩვენს შარაზე მიდი-მოდიან წარსულის აჩრდილები, ჩითისკაბიანები, თავშალიანები, ფარაჯიანები, ტყაპუჭებიანი, ქალამნებიანი.

გადავძახი:

— გამარჯვებათ, მეგობრებო, მეზობლებო, გამარჯვებათ! ველარ მიცანით? მე ხომ ის პატარა ბიჭი ვარ იისთვალება, ყვითელქოჩორა, ლოყებატკრეცილი თქვენს შორის რომ დავრბოდი! მე ისა ვარ, თქვენს კევრზე რომ ვიჯექი, თქვენი გუთნის საყევარის უღელზე, თქვენს ურემზე; რომ დაგდევდით მინდორსა თუ ვენახში!

მე ისა ვარ, წიგნებს რომ გიკითხავდით; თქვენგან რომ ვიწერდი შაირებს, გამოცანებს, სიმღერებს!

— აღარ გახსოვართ?

— ამოდით, ამოდით ჩემსას, აივანზე, ნუ გერიდებათ!

ამოდით, აჩრდილებო, თამამად და თქვენი მძლავრი სიტყვით მომიყევით ყველაფერი!

მე ხომ თქვენს უბირ ცხოვრებასა ვწერ ამ წიგნში გამოუცდელი პროზაიკოსის ხელით; მე ხომ მხოლოდ თქვენ გიგონებთ...

— ამოდით, ამოდით, მეზობლებო, მეგობრებო! ვიცი, აღარა ხართ, მაგრამ როდი წარეცხილხართ ჩემი გულიდან, ისევ მეცნაურებით!

ყველანი მახსოვხართ!

მე ხომ თქვენით გავეცანი ცხოვრების სიტკბოსა თუ სიმწარეს!

თქვენ იყავით ჩემი პირველი მასწავლებელნი!

— ოჰ, თქვენც აქა ხართ, ნინუცი, გაიანე, მაგდა, მართავ, — ჩემო მეზლაპრეებო! რა უცნაურად გაიპარენით: რა უნანებლად დასტოვეთ აკვანი და ჯარა, ბოსტანი და თონე, ვენახი და მინდორი! დამიწებულებო, ულმერთო ჯაფით დაწრეტილებო, როგორც მკერდს ჩაიკრავდით თქვენს ბალღებს, ახლა ისე მიჰკვრიხართ მშობელ მიწას! თქვენც ხომ მისი ნაწილი ხართ!

თქვენ აღარა ხართ, მაგრამ ისევ იცინის დილა პატარძეულში: ისევ იპენტებიან ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და ტყემლის ყვავილები!

თქვენს ეზოებში ახლა სხვა დიასახლისები ფუსფუსებენ, თქვენს ნაცვლად და არც კი იციან, რომ დღესაც აქ შრომობდით, ჩემო საყვარელო ადამიანებო!

— ამოდით, ამოდით, ჩემთან აივანზე, მეგობრებო, მომაგონეთ, შთამაგონეთ!

„ხუთი წლის მანძილზე აშენდა მსუბუქი და კვების მრეწველობის ათასამდე საწარმო. ბევრად გაიზარდა მოსახლეობისათვის სურსათ-სანოვაგისა და განსაკუთრებით სამრეწველო საქონლის მიყიდვა. მნიშვნელოვნად ამაღლდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნებითა და ხანგრძლივი სარგებლობის საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფა“.

(XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებიდან).



# ყველაფერი ოჯახისათვის

საგარეჯოელებს ბევრ სიკეთესთან ერთად კიდევ ერთი კარგი რამ აქვთ. წლეულს, მარტში გაიხსნა რესპუბლიკაში პირველი და ერთადერთი მაღაზია „ყველაფერი ოჯახისათვის“. მაღაზიაშ 1.500-მდე დასახელების საქონელი იყიდება. ნემსიდან დაწყებული ავეჯის გარნიტურით დამთავრებული. გემოვნებით მოწყობილ დახლებზე ლამაზად არის განლაგებული საქონელი. გამყიდველი ქალიშვილები სპეციალისტი კონსულტანტებიც არიან, ისინი მყიდველს საქონლის შერჩევაში ეხმარებიან, ასწავლიან რთული ტექნიკური საქონლის ხმარება-მოვლას.

მომხმარებელმა თავისი ბინისათვის უკეთ რომ შეარჩიოს ავეჯი, მაღაზიის სხვადასხვა ოთახში განლაგებულია — სასადილო, სამუშაო, საძილე, სამზარეულო გარნიტურები.

მაღაზიაში მუდამ ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით ავეჯის სექციაში. დიდი მოთხოვნილებაა პიანინოებზე, მაცივრებზე, სარეცხ მანქანებზე, ტელევიზორებზე, რაც იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნათელი დადასტურებაა, რომ დღითი-დღე იშლება ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის, რომ დღევანდელი გლეხის ოჯახი არაფრით განსხვავდება ქალაქელი ინტელიგენტის ოჯახისაგან, მასაც აქვს საშუალება და სურვილი ყველა იმ სიკეთით ისარგებლოს, რითაც წინათ მხოლოდ ქალაქელები სარგებლობდნენ...

ყველა სახის საქონელს რეკლამას უწევენ, ყველაფერს თვალნათლივ ხედავს მყიდველი, მას დროით არავინ ზღუდავს, შეუძლია კარგად შეამოწმოს, დაათვალიეროს.

მაღაზიის თვიური სავაჭრო გეგმა 75 ათასი მანეთია. მარტო სავაჭრო სექციების ფართობი 432 კვადრატული მეტრია. როცა შენობა მთლიანად გადაეცემა საექსპლოატაციოდ, მომსახურე პერსონალს ექნება სასადილო, საშხაპე და დასასვენებელი ოთახები. მთელი შენობა კონდიცირებულია.

მაღაზიაში რამდენიმე აბრაა: „კოსმეტიკა", „ქსოვისათვის", „მებაღე-მებოსტნეებისათვის", „ტურიზმისათვის", „რადიო", „მონადირეთათვის", „საჩუქრები პატარებისათვის", „ფოტო-კინო მოყვარულთათვის", „დასვენებისათვის", „საოჯახო კომფორტისათვის", „მოსწავლეთათვის", „მუსიკალური საქონელი", „საოჯახო სამზარეულოსათვის", „სუფრისათვის", „ბინის მოვლისათვის", „ყოველდღიური საჭიროებისათვის", „საოჯახო ხელოსნობისათვის", „ავეჯი".

**ნ. არჩვაძე**



# ქალთა საბჭო ეხმარება



საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მერი ლეჟავა

საგარეჯოს რაიონის ქალთა საბჭოს სამუშაო გეგმაში ვკითხულობთ: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყობა სამი თაობის ქალთა შეხვედრა: ესენი არიან: ვეტერანები ქეთევან გოდერძიშვილი, ნუნუ ასათიანი, ნინო რევაზოვა; მარო მეიფარიანი სამამულო ომის მონაწილენი, ბაბულია თხელიძე, ეთერ თედიაშვილი, თამარ მაისურაძე, მანანა მჭედლიშვილი, ციალა კუჭუაშვილი; ახალგაზრდა ენთუზიასტები თინა ჩერქეზიშვილი, მარიამ ცხვარიაშვილი და სხვები.

ოქტომბრის დიდ დღესასწაულს მიეძღვნება შრომის სადიდებელი საღამო, რომელიც საგარეჯოს კულტურის სახლში გაიმართება. თავიანთი შემოქმედებით გამოვლენ ქალები, რომლებიც საკუთარ ნაწარმოებებს მიუძღვიან შრომას, მშრომელ ქალს.

რაიონის მოწინავე ქალები ექსკურსიას მოაწყობენ გმირ ქალაქებში, სადაც ძეგლები და მუზეუმები სამამულო ომის ბობოქარ დღეებზე ღაღადებენ.

საგარეჯოს რაიონის ქალთა საბჭო 1974 წელს ჩამოყალიბდა. მას სათავეში ჩუდგა რაიონის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე მარიკა ბაბუნიძე, მისი მოადგილეა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მერი ლეჟავა, პრეზიდიუმში 17 მოწინავე ქალია.

ამ ქალების საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადება და ერთგულება სამაგალითოა რესპუბლიკის ყველა ქალთა საბჭოსათვის.

ქალთა საბჭომ რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ითავა საგარეჯოში მცხოვრებ ფერეიდნელ ქართველ ქალთა ოჯახური მდგომარეობის ყოველმხრივ შესწავლა და დახმარება.

საბჭო სწავლობს ქალთა საყოფაცხოვრებო პირობებს. ამას წინათ შეამოწმეს საგარეჯოს მატყლის დასამუშავებელ ფაბრიკაში მომუშავე ქალთა მდგომარეობა. იქ მუშაობის ცუდი პირობები აღმოჩნდა. ქალთა საბჭომ საკითხი პარტიის რაიკომის წინაშე დააყენა, ბიურომ იმსჯელა და დადგენილება გამოიტანა ფაბრიკაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ხშირად ეწყობა შეხვედრები და საღამოები. საინტერესოდ ჩატარდა სოფელ ყანდაურის მოწინავე მწველავი ქალის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნინო ადუაშვილის დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო; ლენინის ორდენოსან, საქართველოს დამსახურებულ პედაგოგ დარია მაისურაძესთან შეხვედრა; შინმოუსვლელთა ოჯახების წევრებისა და სამამულო ომის მონაწილე ქალთა პატარძეულის „გმირთა სავანეში" შეხვედრა.

მავნე ტრადიციების გადმონაშთების აღმოსაფხვრელად ქალთა საბჭო ენერგიულად მუშაობს. ამას წინათ საინტერესო კონფერენცია მოაწყო თემაზე: „ტრადიციები და ახალგაზრდობის მორალური სახე".

ქალთა საბჭო აქტიურად მონაწილეობს საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა გაცილებასა და პროფესიების შერჩევაში. პენსიონერმა პედაგოგებმა პირველ საშუალო სკოლასთან შექმნეს კომისია. კომისიის მიზანია თავისავე ახალგაზრდობისაგან ჩაიბარონ შრომითი ანგარიში.

ქალთა საბჭო ეხმარება სამამულო ომში დაღუპულთა, აგრეთვე გაჭირვებულ და მარტოხელა დედებს. შინმოუსვლელის დედას — ო. მათიაშვილს ზამთრისათვის მიუზიდეს შეშა. მკურნალობა მარიკა ბაბუნიძემ ითავა. შინმოუსვლელის დედას — კ. ოქრომჭედლიშვილს დაუნიშნეს პენსია და გამოუყვეს მომვლელი, რ. ბეციაშვილს დაუდგეს ტელეფონი, ოთხი შვილის დედა მ. მდივანოვა, რომელსაც მცირე ხელფასი ჰქონდა და უმიზეზოდ გაათავისუფლეს სამუშაოდან, აღადგინეს და გადაიყვანეს მაღალხელფასიან სამუშაოზე. მარტოხელა, უბინაო დედა ყ. კუპატაძე მოაწყვეს სამსახურში და ბინაც გამოუნახეს.

ქალთა საბჭო რაიონში ქალთა ინტერესებს აქტიურად იცავს.

**ი. გიგუში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მდიდარი ტრადიციები

საგარეჯოს სახალხო თეატრი თავისი არსებობის 102-ე წელს ითვლის. საუკუნის განმავლობაში ნაყოფიერად ემსახურება იგი საგარეჯოელებსაც და მთელს გარეკახეთსაც, ხალხის ესთეტიკურ ამაღლებას, მისი ჭირისა და ლხინის, ნააზრევისა და მისწრაფებათა სცენურ ასახვას. თეატრი ძნელბედობის ხანაში ჩააგონებდა და რაზმავდა მამულიშვილებს უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად. ამიტომაც გულით შეიყვარეს თავისი პირმშო თეატრი საგარეჯოელებმა, რაიონისა და იმ კუთხის მცხოვრებლებმა, სადაც კი ამ თეატრის მოყვარულებს სპექტაკლები გაუმართავთ. საგარეჯოელ მსახიობებს ბევრჯერ დაუმსახურებიათ მხურვალე ტაში ჩვენს დედაქალაქშიც. სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაში ამ დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე თეატრის წილხვედრი ყოველთვის საპრიზო ადგილები იყო.

დიდი მამულიშვილური საქმის — საგარეჯოში სახალხო თეატრის ჩამოყალიბებისათვის პირველად ხელი ცნობილ სახალხო მასწავლებელს — ალექსანდრე ცხვედაძეს მოუკიდია: შეუკრებია სცენისმოყვარე ლევან და მარო ჩერქეზიშვილები, თავისი ძმა იოსები, ნიკო ქურდოვანიძე, იერემია და იოსებ გულისაშვილები, ალექსი ხოხობოვი და სხვები; მათი მონაწილეობით, 1875 წლის დეკემბერში, დაუწყიათ რეპეტიციები ალექსანდრე ცხვედაძის პიესა „ბედნიერი ქორწილის“ დასადგმელად, რეჟისორობა ლევან ჩერქეზიშვილს უკისრია. 1876 წლის 6 იანვარს (ძველი სტილით) პრემიერა წარმატებით გამართულა. ამავე წელს დაუდგამთ გიორგი ერისთავის პიესა „ძუნწი“, სადაც საგარეჯოელებთან ერთად, ქალის როლი შიდაკახეთიდან სტუმრად მყოფ მარიამ მაყაშვილს შეუსრულებია.

1877 წელს მშობლიურ საგარეჯოში ცნობილი მწერალი და თეატრალური მოღვაწე ნიკო ავალიშვილი ჩამოსულა. მას გულმოდგინებით უზრუნვია კულტურის აღორძინებისა და თეატრის შემდგომი წინსვლის საქმისათვის. მისი რეჟისორობით მომდევნო წელს მომზადდა და დაიდგა სუნდუკიანის „პეპო“ და ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“.

1880 წლიდან საგარეჯოელი სცენისმოყვარეები სავასტროლოდ გადიან და სპექტაკლებს მართავენ თოხლიაურში, გიორგიწმინდაში, პატარძეულსა და ხაშმში.

პირველ ხანებში თეატრს აკლდა მსახიობი ქალები. ამიტომ ქალების როლებს ალექსანდრე ხოხობოვი, იერემია გულისაშვილი, სედრაკ არუთინოვი და ნიკოლოზ ქურდოვანიძე ასრულებდნენ. მაგრამ, შემდეგში გამოჩნდნენ სცენისმოყვარე ქალები: ბარბარე მჭედლიშვილი, ელენე ბილანიშვილი, დარო გარსიაშვილი, თამარ ავალიშვილი, ლიზა ვაშაკიძე და სხვები; მათ გადალახეს მაშინდელი კარჩაკეტილობა და დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი ამ მამულიშვილურ საქმეს.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში უდიდესმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ძვრებმა საგარეჯოც ჩაითრია თავის ფერხულში. აქაც დუღდა და ბობოქრობდა თავისუფლებისათვის მებრძოლი სული. მასების გათვითცნობიერებასა და მათი რევოლუციური ბრძოლისათვის დარაზმვაში საგარეჯოს სახალხო თეატრს გარკვეული წვლილი მიუძღვის, ამიტომ, ბუნებრივია, რომ თეატრალური დასისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი მაშინდელი ჩარჩ-ვაჭრები, მათ 1878 წელს დებოშიც კი მოაწყვეს და „პეპოს“ პრემიერა ჩაშალეს გარსიაშვილების ეზოში. პიესები ვ. გუნიას „და-ძმა“ დ. ერისთავის „სამშობლო“, ალ. ყაზბეგის „არსენა“, ი. გულისაშვილის „დრონი მეფობენ“, სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“ და სხვები, გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში დაიდგა. ეს რეპერტუარი საუკეთესო დამადასტურებელია, რომ საგარეჯოს სახალხო თეატრი რევო-

# ნორჩ გომბორელ ეთნოგრაფებთან



სოფელი გომბორი მარტო მშვენიერი ბუნებით როდია ცნობილი. გომბორსა და მის მახლობელ პატარა სოფლებში ჩვენი საუკუნის დასაწყისში მთიდან ჩამოსახლებულან ფშავლები, ხევსურები, მთიულები, გუდამაყრელები. რომელთაც, ცხადია, თან ჩამოუტანიათ თავიანთი ტრადიციებიც.

მთიელი ქალები მუდამ ცნობილი იყვნენ ხელსაქმით — ქსოვდნენ საუცხოო ფარდაგებს, ხალიჩებს, ყაჯრებს, წინდებს, ხევსურულ ტანსაცმელს. ბევრ გომბორელ ქალს ახლაც შეუძლია მოიწონოს თავი ნახელავით, მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხური ქსოვისა და ქარგვის ხელოვნება თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. ახალმა დრომ სხვა პრობლემები დააყენა გომბორელთა წინაშე.

ხალხური ტრადიცია გაგრძელდა სოფლის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან არსებულ ეთნოგრაფიულ სექციაში. ამ სექციაში ყოველწლიურად ასობით მოსწავლე მეცადინეობს.

მხარეთმცოდნეობის სასკოლო მუზეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა



1975 წლის საკავშირო ფესტივალის ლაურეატი მსახიობი ნორა ელმეთაშვილი

საგარეჯოს სასამართლო ექსპერტიზის ლაბორანტი — მსახიობი ეთერ თედიაშვილი



ლუციის ქარცეცხლიან დღეებში ხალხთა მასების საუკეთესო დამრაზმავი და რევოლუციური მოძრაობის აქტიური მხარისდამჭერი იყო.

საგარეჯოელები დღესაც გრძნობით იხსენიებენ ალექსანდრე (საშა) მჭედლიშვილს, ალექსანდრე ქურდიანს, შალვა დადიანს, სოსო ჟივიძეს, ნიკო გვარაძეს, ალექსანდრე ბურთიკაშვილს, იერემია გულისაშვილსა და სხვებს, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს სახალხო თეატრს. მათ არ დავიწყებიათ საყვარელი სცენისმოყვარეებიც: შალვა და ირინე ჯაფარიძეები, ელენე მჭედლიშვილი, ალექსანდრე არუთინოვი, დარია მაისურაძე, კოლა ქვლივიძე, იაკობ ანუაშვილი და გიგა დოლენჯაშვილი.

ამ სტრიქონების ავტორს თვითონ ჰქონდა ბედნიერება, თხუთმეტი წლის წინათ, ეთამაშა საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენაზე ანტონ მჭედლიშვილთან, აწ განსვენებულ კოლა ქვლივიძესთან, დარია მაისურაძესთან, გიგა დოლენჯაშვილთან ერთად.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 1914 წლამდე საგარეჯოს სახალხო თეატრს საკუთარი შენობა არა ჰქონდა, წარმოდგენები მოსახლეობის ეზო-კალოებსა და საბძელჩარდახებში იმართებოდა, სცენისმოყვარეებს ზურგით გადაჰქონდათ დეკორაციები და სცენისათვის საჭირო სხვა მოწყობილობა, უფრო ნათელი გახდება საგარეჯოელთა ღვაწლი, რაც მათ თავიანთი თეატრის აღორძინების საქმეში გაიღეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეატრი 1914 წელს საქველმოქმედო თანხებით აგებულ შენობაში განაგრძობს დღემდე მუშაობას. მუშაობს და თავის სიტყვას ყოველთვის ამბობს. რეჟისორების: თედო წეროძის, ვახტანგ ფურცელაძის, ალექსანდრე ალაზნისპირელის, ნუნუ მდივნიშვილის, თამაზ ფერაძის, ეთერ თედიაშვილის, რომან აბულაძის, ვანო ოსაძის მიერ მომზადებული, და მხატვრების ირაკლი ნინიძის, დიმიტრი თავაძის, ირაკლი ხუროშვილის, ივანე ასკურავას, შოთა ციციშვილისა და სხვების მიერ გაფორმებული სპექტაკლები მოეწონათ მაყურებლებს.

სახალხო თეატრში ამჟამადაც გულმოდგინებით მუშაობენ სცენისმოყვარეები: ეთერ თედიაშვილი, ჯიმშერ ძაბილაშვილი, შოთა ბაზერაშვილი. მათ გვერდით უდგანან ახალგაზრდები ნორა ელმეთაშვილი — 1975 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებული, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სპეციალური პრიზის მფლობელი, 1977 წელს საკავშირო ფესტივალის ლაურეატობითა და მედლით დაჯილდოებული ციცინო ესაიაშვილი, ლალი, ნაირა, სოსო კვერაშვილები, სერგო გაბაშვილი, ელგუჯა ალექსაშვილი, ქიშვარდ ანუაშვილი, სოსო ვარდიაშვილი და სხვები. თეატრის მომავალ წარმატებებს უფრო მეტ სტიმულს მისცემს კულტურის სახლის ახალი შენობა, რომელიც აღჭურვილია მბრუნავი სცენით, ორი საქტო დარბაზით, სამეცადინო ოთახებითა და ბიბლიოთეკის დარბაზით, ეს სახლი გაისად გადაეცემა საექსპლოატაციოდ. საამისოდ უკვე ემზადებიან კიდეც. წლეულს, პირველად თეატრის ისტორიაში, ერთდროულად ორი პიესა მომზადდა. შ. დადიანისა და ვ. ყუშიტაშვილის „კაციაადამიანი“ (რეჟისორი ვახტანგ ფურცელაძე) და შ. მახარობლიშვილისა და შ. ჭულუხიას „უცნობი მეგობარი“ (რეჟისორები ნაირა ელმეთაშვილი და სოსო ვარდიაშვილი)

ღირსეული ტრადიციების მქონე საგარეჯოს სახალხო თეატრი, მიიღებს რა ამ ახალ, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილ ბაზას, მომავალში ნაყოფიერად განაგრძობს თავის სასახელო შრომითს გზას.

გიორგი არაგული

---

1953 წელს დაარსა და დღემდე მისი უცვლელი ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ხარიტონ ციცხვაია. მუზეუმის ექსპონატებს შორის დიდი ადგილი უჭირავს ეთნოგრაფიულ ნიმუშებს. ყველაზე მეტად სწორედ ეთნოგრაფიული სექციის საქმიანობამ გაუთქვა სახელი მუზეუმს. სექციაში ძირითადად მოსწავლე გოგონები მეცადინეობენ. ისინი სკოლის ლაბორანტის თამარ ელიზბარაშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებიან ხალხური ქსოვის საიდუმლოებას, ქმნიან მიმზიდველ საინტერესო ნიმუშებს.

საქსოვი დაზგა, ანუ როგორც მთაში უწოდებენ, ყდები თვით მოსწავლეებმა დაამზადეს სკოლის სახელოსნოში. სასკოლო მუზეუმში ამ დაზგაზე მოქსოვილ მრავალ ექსპონატს ნახავთ, რომელთა ავტორები არიან ყოფილი მოსწავლეები მარიამ არაბული, თინა გოგოჭური, თინა მისრიაშვილი, მარინე გოგოლაშვილი, მარინე წოწკოლაური, ლილი და მერი ხუმარაშვილები, ციური და ნუნუ წიკლაურები, ქუქუნა ჭინჭარაული და სხვები. სექციის წევრები ხელსაქმეს ქსოვის განთქმული ოსტატებისაგან სწავლობენ. ეს ოსტატები არიან: ხევსურთა პატარა სოფლის — ვერონის მკვიდრნი მზექალა და ნინო არაბულები, მართა ჭინჭარაული, გომბორელები ნინო ბერიკაული, დარეჯან წოწკოლაური და სხვები. სექციის წევრებს დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს ქიმიის მასწავლებელი ლიზა ბალიაური.

სექციის წევრთა ნამუშევრები ბევრჯერ ყოფილა გამოფენილი თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში მოწყობილ გამოფენებზე. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ გომბორელ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი 1964 წელს მოსკოვში გაიგზავნა, ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა მსოფლიო მეშვიდე კონგრესზე. 1968 წელს ტოკიოში გამართულ ამავე მეცნიერთა მერვე კონგრესზე აჩვენეს მათივე ნამუშევრები, რომლებსაც დიდი წარმატება ხვდა წილად და სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა.

ნორჩ გომბორელ ეთნოგრაფთა საქმიანობა ბევრჯერ აღნიშნულა პრესაშიც. კერძოდ, ამაზე წერდა საკავშირო ჟურნალი „პიონერი“ (1968 წლის № 1 და 1969 წ. № 8), გაზეთი „პიონერსკაია პრავდა“ და სხვ.

გომბორის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეთნოგრაფიული სექციის წევრები დიდ ყურადღებას უთმობენ ხალხში გაბნეული მასალების შესწავლა-შეგროვებას: მუზეუმში მოაქვთ ძველი ნივთები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ტანსაცმელი, რითაც დიდ საქმეს აკეთებენ — ქმნიან ამ კუთხის ცოცხალ ისტორიას.

ა. ფილიპაშვილი

# საგარეჯო — ფალავანთა კერა

ცნობილმა ქართველმა მწერალმა და დრამატურგმა სიმონ მთვარაძემ საგარეჯოს ფალავანთა კერა უწოდა და არც შემცდარა — აქ უხსოვარი წარსულიდან მოდის ქართული ჭიდაობის ტრადიცია.

ვინ იცის, რამდენ გარეკახელ მოჭიდავეს უსახელებია თავი გასულ საუკუნეებში. სამწუხაროდ, ქართველ მემატიანეებსა და სახალხო მთქმელებს მხოლოდ რამდენიმეს სახელი მოუტანიათ ჩვენამდე.

პატარძეულელი გოლიათი სოლომონ ბუტულაშვილი გასული საუკუნის ოციანი წლების სახალხო გმირი და სწორუპოვარი ფალავანი ყოფილა. მას მთავარმართებლის — პასკევიჩის ჯილდოც კი ხვდომია წილად.

ხალხის ხსოვნას შემოუნახავს ორი პატარძეულელი გოლიათი ვაჟკაცის სახე, ხალხმა მეტსახელად ლაპრიკანჭი და ოლაგირი რომ შეარქვა.

ერეკლე მეორეს გარეკახეთიდან ყოველწლიურად გაჰყავდა ლაშქარი. გარეკახელი ვაჟკაცები ომშიც მოწინავენი იყვნენ და ომის შემდეგ გამართულ ჭიდაობაშიც.

სად იღებდნენ გარეკახელი ფალავნები სპორტულ წრთობას? რა თქმა უნდა, თავიანთსავე სოფელში. მათი პირველი სასპარეზო საუბნო თუ სასოფლო სახალხო დღეობები იყო.

მას შემდეგ, რაც თბილისში ქართულმა ჭიდაობამ ოფიციალურად მოედნიდან ცირკში გადაინაცვლა, ქართული ჭიდაობაც მოყვარულობიდან თითქმის პროფესიად იქცა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ცირკის მოჭიდავეთა მშვენება გორელი, საგარეჯოელი, მცხეთელი თუ ახმეტელი მოჭიდავეები იყვნენ. სწორედ ამ დროს გაიელვა გიორგიწმინდელი ფალავნის სოსანა კევლიშვილის სახელმა. სოსანა კევლიშვილისათვის საბედისწერო გამოდგა ცირკის არენა. როდესაც მან მიწას სამჯერ გააკრა ერთ-ერთი ცნობილი თურქი მოჭიდავე, დამარცხებულის დამქაშებმა იმავე ღამეს, ბებუთით მუხანათურად მოკლეს სახელოვანი ფალავანი.

თუ სოსანა კევლიშვილის სპორტული ასპარეზობა დღემოკლე აღმოჩნდა, სამაგიეროდ, დიდხანს ქუხდა საგარეჯოელი მიხა ქურხულის სახელი, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტხანს ბეჭდაუდებელ ფალავნად ითვლებოდა.

ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი იყო ასეთი სწორუპოვარი გოლიათი, რომელიც მხვნელმთესველის და მევენახის მამაპაპურ საქმიანობას მოხდენილად უთავსებდა სპორტს.

თვალს ვავლებთ უახლოეს წარსულს, ჩვენს წინ ცოცხლდება ფალავანთა მთელი პლეადა:

1931 წლიდან 1953 წლამდე ბევრჯერ ისახელა თავი საგარეჯოელებმა შალვა გზირიშვილმა.

ქართული ჭიდაობის ბევრ მო[illegible]ეს ჯერ კიდევ არ დავიწყებია შეუპოვარი მოჭიდავეები არჩილ ონაშვილი და არსენ ჭინჭარაძე.

მაყურებლის მეხსიერებიდან არ წაიშლება იოსებ თედიაშვილის, იოსებ ქაიხოსროშვილის, თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილების, ოთარ შაქარაშვილის, შაქრო ელერდაშვილის, ვალიკო ლაფერაშვილის და სხვათა სახელები. საგარეჯო ამაყობს რომ სამშობლოს მისცა სპორტის ვარსკვლავი — გიორგიწმინდელი არსენა მეკოკიშვილი, რომელიც მთელი ოცი წელი მსოფლიოს სწორუპოვარ, ბეჭდაუდებელ ფალავნად ითვლებოდა. მისი სპორტული ასპარეზი გასცდა საგარეჯოს, თბილისს, მოსკოვს. იგი სტოკჰოლმის, ანკარის, ტოკიოს დიდ ასპარეზობებზე იცავდა საბჭოთა სპორტის ღირსებას; იყო საბჭოთა კავშირის ჩვიდმეტგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოში და კლასიკურ ჭიდაობაში, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და ჰელსინკის ოლიმპიური თამაშობების ჩემპიონი.

არსენ მეკოკიშვილი სპორტული არენიდან საკმაოდ ხანდაზმული წავიდა. მალე მისი ადგილი საგარეჯოს მკვიდრმა, მსოფლიოში სწორუპოვარმა ფალავანმა ლევან თედიაშვილმა დაიკავა. ლევანის სპორტული გზა საოცარი აღმავლობით ხასიათდება. სულ მალე იგი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური თამაშობების და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი გახდა.

რაიონის ფალავანთა პლეადას გვერდს უმშვენებს პატარძეულელი გოლიათი გივი ონაშვილი. გივი სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი ძიუდოში და მიუნხენის ოლიმპიურ თამაშობათა პრიზიორი.

ბევრჯერ უსახელებიათ რაიონი და რესპუბლიკა სახელოვან სპორტსმენებს ანზორ ზურაბაულს, როინ ქაიხოსროშვილს, როინ ყორღანაშვილს, გურამ გოგოლაურს, ბიჭიკო მარიდაშვილს, გურამ თედიაშვილს და მრავალ სხვას.

საგარეჯო ფალავანთა კერაა. აქ იდგამენ ფეხს მომავალი ფალავნები.

გია ელერდაშვილი

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲐ ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲖᲣᲙᲐᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ; ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — Გ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲨᲘ.

დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები


| | | |
|---|---|---|
| **რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი** | სარედ. კოლეგია: Ნ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, Ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ (მხატ. რედაქტორი), Თ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, Ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ. მდივანი) ტექრედაქტორი ნ. ბუკია | **საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა** |

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/VIII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IX-77 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 123 000; შეკვ. 2513, უე 00811, ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგარეჯოელი დიასახლისები გვთავაზობენ

## მაწვნის შეჭამანდი

ერთ ქილა (500 გრ) მაწონს დაუმატეთ ამდენივე წყალი, ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, მარილი და ყოველივე ერთმანეთში კარგად ათქვიფეთ. ერთ თავ წვრილად დაკეპილ ხახვს დაუმატეთ 50 გრამი კარაქი და მოშუშეთ. მოშუშულ ხახვს დაასხით ზემოთ აღწერილი ნაზავი და თხუთმეტი წუთი ადუღეთ. მერე წვრილ ნაკადად, თანდათანობით ჩაასხით შიგ კარგად ათქვეფილი ორი კვერცხი და თან ურიეთ.

## ცხვრის შილაფლავი

ორი კგ მსუქანი ცხვრის ხორცი კარგად გარეცხეთ, დაჭერით მომცრო ნაჭრებად და ალუმინის ან სპილენძის ქვაბში კარგად (ძლიერ დარბილებამდე) მოხრაკეთ. შემდეგ ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და მარილი და კვლავ განაგრძეთ ხრაკვა. ხახვსა და ხორცს დაასხით ორლიტრანახევარი წყალი, როცა ადუღდება, ჩაყარეთ შიგ 3 ჩაის ჭიქა გარეცხილი ბრინჯი. ხარშვის პროცესში მორევა აღარ შეიძლება. შილაფლავი მაგიდაზე ფრიალო ჭურჭლით უნდა მიიტანოთ.

## ხაში

ძროხის ან ცხვრის ფაშვი, ნაწლავები და ფეხები კარგად გაასუფთავეთ და თბილ წყალში გულდაგულ გარეცხეთ. ნახევარ ვედრო ცხელ წყალში ჩაყარეთ 100 გრამი კირი და ჩაალაგეთ შიგ სახაშე მასალა. ნახევარი საათის შემდეგ ამოიღეთ და კვლავ გაასუფთავეთ. შემდეგ ჩაყარეთ მდუღარეში და კვლავ, რომ წამოდუღდება, მაშინვე წყალი გადაწურეთ. მერე დაასხით ადუღებული წყალი და დაიწყეთ ხარშვა. შუა ხარშვისას დაუმატეთ 1 ლიტრი რძე. ხარშეთ, ვიდრე წვენი არ შესქელდება და ფეხები კარგად არ ჩაიხარშება, დარბილდება. სუფრაზე მიტანისას მიაყოლეთ მარილში დანაყილი ნიორი.

## ღორის ხორცის ყაურმა

ორი კგ ღორის ხორცი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, გავრეცხოთ, ჩავყაროთ ქვაბში, დავუმატოთ 1 კგ დაჭრილი ხახვი, დაფნის ფოთოლი, წიწაკა და მოვშუშოთ ნელ ცეცხლზე. წყალი რომ ჩაშრება, დავასხათ ერთი ჭიქა ადუღებული წყალი და ერთი ჭიქა თეთრი ღვინო. მარილი გემოვნებით. სუფრაზე მიტანის დროს მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში.

თინა სონიშვილი

# ახალი ლექსები

შუქურა ჯაფარიძე

## შარდომეთი

ზარების მუსიკა... გაშლილი ნახირი...
სოფლური დილა და კარავი გრილი,
თმათეთრი მთები და ქოჩორა გორები,
ანკარა წყარო და ნიავი ფრთხილი...

ზიზარ და გასცქერი ხატულა ხეობას...
კრეფ მაყვალს, პანტა ვაშლს შეჰყურებ ტრფობით.
ფილამუშს ფუსფუსით ადუღებს ბებია,
შავთვალა ქლიავებს ახურავს გობი.

ფირუზ ცას გაჰკვრია ბამბების ფთილა,
ქვეშ ზურმუხტს ცისფერი ეკალიც შვენის,
ჩხრიალებს მდინარე, სოკოებს სძინავთ
ეს შარდომეთია, ძვირფასო, შენი.

## მაყვალი

დღეს მაყვალმა თვალმაყვალამ
კაბის კალთა დამაცალა,
წასვლა აღარ დამაცალა,
ტოლ-მეგობრებს გამაცალა,
ტკბილი ღვინო დამაძალა,
გონი ძალა გამაცალა...
ღვინო ჰქონდა ლალისფერი,
მათქმევინა ყველაფერი.

## ქარში

გადამრია შიშით ალვამ,
აკვრევინა ტაში ქარმა,
ცეკვაც სურდა ტანლატანას,
სიხარულმა აიტანა,
აფრთოლდა და აისვეტა...
იცეკვებდეს, მართლაც, ნეტავ!

## შინდი

მზენასვამ სხეულს
ზურმუხტის კაბა,
ყარყარა ყელზე
მძივი მარჯნისა...
ჰა, შემოდგომის
ფერთა მეჯლისზე
მოგაქვს ნაყოფი
შენი გარჯისა.
კრძალვით შემოგხსნეს
მარჯნის საყელო,
ნატიფი ყელი უფრო
გაბრწყინდა...
სუფრის თავანზე,
ამაყად მქროლთა,
ზვიადად გვჭვრეტდა —
თვალი არწივთა.

## დედაო ჩემო!

დედაო ჩემო, ჩემო ქვეყანავ,
ანთებულს შენგან, გადამწვარს შენით,
შენი მზის ცეცხლი გადამედარა,
ამაგიზგიზა, აღმაგზნო ლხენით.
მინდა, გადვიქცე ისეთ სიმღერად,
ჯერ რომ ვერავინ ამოიმღერა,
ჩემი ხმის ექო მსურს გასწვდეს ხმელეთს
და მზის სხივებში ჩაიწნას მერე,
რომ მაცოცხლებლად ეწვიოს სერებს,
სინათლედ ედგას ახალ სიმღერებს,
აღსავსეს შენით, მშვენიერს შენით,
მზესთან ატყორცნილს მზიური ფრენით!

ეფრემ დაუშვილი

## შქმერის მთებზე

შქმერის მთებზე ჩამოთოვა
განა ზამთრის თვეს,
არც აპრილში,
არც მაისში,
— შუა თიბათვეს.
მოფრინავდნენ ფანტელები,
თეთრად შლიდნენ ფრთებს,
ვით თეთრონი, თეთრი გზებით
ევლებოდნენ მთებს.

ასე იცის ჩვენს მთებზეო,
— შქმერელებმა თქვეს.
ბარში ცეცხლად
მზე იღვრება,
მთებზე თოვლი ძევს.
ნახეთ, თოვლი
ფერს და ლაზათს
რარიგ მატებს შქმერს!

б 66/2



индекс 76178